წლიური ანგარიში

ადამიანის უფლებების მდგომარეობა საქართველოში, 2022

ადამიანის უფლებების
მდგომარეობა საქართველოში, 2022

ადამიანის უფლებათა ცენტრი

2023

ავტორი: სალომე წიკლაური

რედაქტირება: ალეკო ცქიტიშვილი, ნინო ტლაშაძე

ანგარიში მომზადებულია ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ

ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში.

ადამიანის უფლებათა ცენტრი არის შემდეგი საერთაშორისო ქსელების წევრი:

- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH); www.fidh.org
- წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT - ქსელი SOS - წამება); www.omct.org
- ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი www.humanrighshouse.org
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არასამთავრობოთა კოალიცია (CICC);www.coalitionfortheicc.org

მისამართი:

0160 თბილისი, ა. გახოკიძის ქ. 11ა, III სართული

ტელ.: (+995 32) 237 69 50, (+995 32) 238 46 48

ელ-ფოსტა: hrc@hrc.ge

ონლაინ გამოცემა ადამიანის უფლებების შესახებ: http://www.humanrights.ge

ვებ-საიტი: hrc.ge

ანგარიში მომზადდა აშშ-ის ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას. შესაბამისად, NED არ არის პასუხისმგებელი ტექსტის შინაარსზე.

სარჩევი

1. ანგარიშის შესახებ 4

2. შესავალი 4

3. ომი უკრაინაში..... 6

- რუსეთის მოქალაქეების მიგრაცია საქართველოში.....8

4. ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი 10

5. საქართველოს მესამე პრეზიდენტი და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა 13

6. სასამართლო ხელისუფლება 16

7. შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება 18

8. თანასწორობის უფლება..... 19

- ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა.....23
- ეროვნული უმცირესობები.....24
- რელიგიის თავისუფლება 25
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა.....27
- LGBTQI+ ადამიანთა უფლებრივი მდგომარეობა 28
- იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა უფლებები 29

9. პენიტენციური დაწესებულებები..... 30

10. ადამიანის უფლებები ოკუპირებულ ტერიტორიებზე და კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში 32

11. მედიაგარემო - გამოხატვის თავისუფლება 34

12. ფარული მიყურადებები..... 35

13. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საქმეები 37

- ნიკა გვარამიას საქმე 37
- კარტოგრაფების საქმე 38
- გოგაშვილის საქმე.....39
- მამალაძე საქართველოს წინააღმდეგ 40
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გამოძიება 40

14. საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოში ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ 42

1. ანგარიშის შესახებ

წინამდებარე ანგარიში მიმოიხილავს 2022 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობას. ტრადიციულად, იგი ასახავს ყველა იმ მნიშვნელოვან სამართლებრივ და პოლიტიკურ საკითხს, რამაც გავლენა მოახდინა ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტზე. ანგარიში ეფუძნება ადამიანის უფლებათა ცენტრის, საქართველოში მოქმედი სხვა ორგანიზაციების, საქართველოს სახალხო დამცველისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ცნობებსა და შეფასებებს. ანგარიშის მიზანია, შეაფასოს სახელმწიფოს სხვადასხვა უწყებების ქმედება ადამიანის უფლებათა დაცვის ჭრილში, როგორც პოზიტიური, ასევე, ნეგატიური ვალდებებულებების ნაწილში, მათ შორის - მათი რეაგირების ხარისხი უფლებების დარღვევებზე, მართლმსაჯულების ეფექტიანობა და საკანონმდებლო თუ სისტემური ცვლილებები, რაც მიმართული უნდა იყოს საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრებისკენ.

ანგარიშის შინაარსი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურმა და სამართლებრივმა პროცესებმა. 2022 წელს რუსეთის სამხედრო შეტევამ უკრაინაზე საერთაშორისო და რეგიონულ დონეზე ადამიანის უფლებების მდგომარეობაზე დიდი გავლენა იქონია. ომმა შეცვალა პოლიტიკური დღის წესრიგიც. საქართველოში მიმდინარე პროცესები დიდწილად ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებულმა მოვლენებმა განსაზღვრა.

ანგარიში მოიცავს საკვანძო მიმართულებებს ადამიანის უფლებათა ისეთ სფეროებში, როგორიც არის: კანონის წინაშე თანასწორობა, გამოხატვისა და სიტყვის თავისუფლება, სასამართლო სისტემა, ადამიანის უფლებებები პენიტენციურ დაწესებულებებში, ოკუპაცია და მისი შედეგები ადამიანის უფლებრივ მდგომარეობაზე, მედიის თავისუფლების საკითხები, შშმ პირთა მდგომარეობა, LGBTQI+ პირთა უფლებები, ქალთა მიმართ ძალადობის, მათ შორის - ოჯახში ძალადობის ფაქტები, რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობათა უფლებები, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები და ა.შ.

2. შესავალი

2022 წელს მთელი მსოფლიო კიდევ ერთხელ გახდა რუსეთის ფედერაციის იმპერიალისტური მისწრაფებების თვითმხილველი. რუსეთის თავდასხმამ უკრაინაზე მთელი რიგი პოლიტიკური და სამართლებრივი პროცესები შეცვალა.

საერთაშორისო გეოპოლიტიკურმა ვითარებამ დიდი გავლენა იქონია საქართველოში სამართლებრივ, პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენებზე.

ევროპული კომისიის მიერ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით განსაზღვრულმა პრიორიტებებმა ნათლად წარმოაჩინა ის გამოწვევები, რაც ადამიანის უფლებათა სტანდარტებთან დაკავშირებით საქართველოში არსებობს.

ქვეყანაში კვლავ დაბალია სხვადასხვა უმცირესობათა უფლებების დაცვის სტანდარტები. განსაკუთრებულ მოწყვლად ჯგუფად რჩება LGBTQI+ ადამიანები, რომელთა უფლებების დაცვისას იკვეთება სახელმწიფოს პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებების დარღვევა. დისკრიმინაციულ პირობებში არიან რელიგიური და ეთნიკური უმცირესობებიც.

ქვეყანაში საკმაოდ მაღალია ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალთა რაოდენობა. მისასალმებელია სახელმწიფოს მხრიდან ნებისმიერი ნაბიჯი, რომელიც მიზნად ისახავს ქალთა მიმართ ძალადობის შემცირებას. მიუხედავად ზოგიერთი პოზიტიური საკანონმდებლო ცვლილებისა, აუცილებელია სამართალდამცავთა და სასამართლოს მხრიდან საკითხზე სათანადო რეაგირება, რათა ქალებმა საქართველოში თავი დაცულად იგრძნონ. დამატებით აუცილებელია, რომ ოჯახში ძალადობას საზოგადოება არ აღიქვამდეს, როგორც კერძო საკითხს და მსხვერპლებს არ ადანაშაულებდეს, რადგან მსგავსი დამოკიდებულების გამო, ქალებს კიდევ უფრო მეტად ეშინიათ ხმის ამოღების.

კითხვებს აჩენს საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა და მისი, როგორც პატიმრის, პროცესუალური და მატერიალური უფლებები. სამართლიანი სასამართლოს უფლება, ასევე, აქტუალურია სისხლის სამართლის სხვა სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მიმდინარეობისას.

მძიმე მდგომარეობაა რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოს ტერიტორიებსა და გამყოფი ხაზის მიმდებარედ არსებულ სოფლებში. რუსეთის ფედერაციის მცოცავი ოკუპაციით გამოწვეულ უსაფრთხოების პრობლემებთან ერთად, ადგილობრივი მოსახლეობა მძიმე სოციალურ-ეკონომიკური სირთულეების წინაშე დგას. ოკუპაციის შედეგად მათ დიდ ნაწილს შეზღუდული აქვს წვდომა საკუთარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებზე.

ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტზე ნეგატიურად აისახება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებული ცვლილებები, რომელთა ფარგლებშიც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება მნიშვნელოვნად ირღვევა. მიუხედავად იმისა, რომ ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს შესაძლოა, ლეგიტიმური მიზნები ჰქონდეს, აუცილებელია, არსებობდეს ეფექტიანი დაცვის სამართლებრივი მექანიზმები ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რათა თავიდან იყოს აცილებული პირადი ცხოვრების უფლებაში უხეში ჩარევა.

ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისა და ევროპული მომავლისთვის მნიშვნელოვანია მეგობარ ქვეყნებთან და საერთაშორისო პარტნიორებთან აქტიური თანამშრომლობა. ხელისუფლების და მმართველი პარტიის წარმომადგენლების ნეგატიური დამოკიდებულება საქართველოს საერთაშორისო პარტნიორების მიმართ ქვეყანას აშორებს ევროინტეგრაციისგან და აზიანებს მის საერთაშორისო რეპუტაციას.

3. ომი უკრაინაში

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის ფედერაციამ შეიარაღებული იერიში მიიტანა უკრაინაზე. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის მსგავსად, ეს სამხედრო აგრესია შეიძლება, შეფასდეს, როგორც კულმინაციური მომენტი, რასაც წინ მრავალწლიანი დაძაბულობა ახლდა თან, მათ შორის - რუსეთის მხრიდან უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა და უკრაინის იურისდიქციაში მყოფი ტერიტორიების ოკუპაცია და შემდეგ - ანექსიის მცდელობა.

2022 წლის 25 თებერვალს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ საქართველო რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ ფინანსურ და ეკონომიკურ სანქციებში მონაწილეობას არ მიიღებდა[1]. ეს განცხადება მრავალი ინტერპრეტაციის საგანი გახდა. საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა პრემიერის განცხადება გააკრიტიკეს[2]. მმართველი პარტიის მსგავსი ტიპის განცხადებებმა საქართველოსა და უკრაინის ურთიერთობაზე ნეგატიური გავლენა იქონია. ომის დაწყებიდან მეექვსე დღეს უკრაინის პრეზიდენტმა, ვოლოდიმირ ზელენსკიმ უკრაინის ელჩი საქართველოში ჯერ - კონსულტაციებისთვის, ხოლო 31 მარტს კი ოფიციალურად გაიწვია

[1] იხ. ინტერპრესნიუსის სტატია (25.02.2022)
[2] იხ. საზოგადოებრივი ორგანიზაციების განცხადება (26.02.2022)

საქართველოდან[3]. მიუხედავად ამისა, არნახულ მასშტაბებს მიაღწია ქართველი ხალხის სოლიდარობამ, რაც გამოიხატა როგორც ომის წინააღმდეგ საპროტესტო აქციებში, ასევე - ქართველი ჯარისკაცების ფრონტის ხაზზე გამგზავრებაში. უკრაინის ომში 2500-მდე ქართველი იბრძვის. 2022 წლის 12 დეკემბრის მონაცემებით, მათგან 34 მებრძოლი უკრაინის თავისუფლებისთვის ბრძოლას შეეწირა[4].

წლის ბოლოს, როცა უკრაინის ომში 5 ქართველი მებრძოლი დაიღუპა და მათ ოჯახებს ხელისუფლებამ არ მიუსამძიმრა, საზოგადოების მძაფრი კრიტიკის პასუხად, მმართველი პარტიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ უკრაინაში მებრძოლებს შესაძლოა, მოქალაქეობა შეუწყდეთ, ვინაიდან კანონით სხვა ქვეყნის სამხედრო სამსახურში ყოფნა იწვევს საკუთარი ქვეყნის მოქალაქეობის დაკარგვას. ეს პოზიცია კიდევ უფრო გამაღიზიანებელი აღმოჩნდა სამოქალაქო საზოგადოებისთვის. უკრაინაში მებრძოლმა ქართველებმა ხელისუფლების და საპარლამენტო უმრავლესობის განცხადებები მუქარად აღიქვეს[5].

უკრაინაში რუსეთის ფედერაციის მიერ საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევა არნახულ მასშტაბებს აღწევს. შემაშფოთებელია შეტევები მშვიდობიან მოსახლეობაზე. ომის დაწყებიდან უკრაინა მილიონობით ადამიანმა დატოვა. ლტოლვილთა ნაწილმა თავი საქართველოს შეაფარა. თავშესაფრის მაძიებლის დაცვა ადამიანის უფლებათა სამართლის უმნიშვნელოვანესი ნაწილია და რეგულირდება როგორც საერთაშორისო სამართლით, ასევე, საქართველოს ეროვნული კანონმდებლობით. „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ კონვენციის 21-ე მუხლის მიხედვით, ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა მათ ტერიტორიაზე მყოფ ლტოლვილებს, შესაძლებლობების ფარგლებში, მაქსიმალურად ხელსაყრელი გარემო უნდა შეუქმნან. ლტოლვილთათვის სოციალურ-ეკონომიკურ გარანტიებს „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 60-ე მუხლის პირველი პუნქტიც განამტკიცებს.

საქართველოს ხელისუფლება რუსეთის აგრესიას გამოქცეულ უკრაინელ ლტოლვილებს თავდაპირველად საცხოვრებლით უზრუნველყოფდა, მაგრამ ეს პროგრამა 2022 წლის 31 ივლისს დასრულდა. ქალაქ თბილისის მერიის ინფორმაციით, საქართველოში შემოსული უკრაინის მოქალაქეები 2022 წლის

[3] იხ. რადიო თავისუფლების სტატია (31.03.2022)
[4] იხ. რადიო თავისუფლების სტატია (01.11.2022)
[5] იხ. რადიო თავისუფლების სტატია (08.12.2022)

15 ივლისიდან ფულად დახმარებას მიიღებენ[6]. გამოყოფილი თანხა (ოჯახზე 300 ლარი და დამატებით სულზე 45 ლარი) საკმარისი არ არის, განსაკუთრებით - მათთვის, ვინც ჯანმრთელობის, ოჯახური მდგომარეობის ან სხვა მიზეზის გამო დასაქმებას ვერ ახერხებს. ამასთან, მოიმატა უძრავი ქონების ფასმა, რაც საქართველოში რუსეთის მოქალაქეების გაზრდილ რაოდენობასაც უკავშირდება.

ადამიანის უფლებათა ცენტრი უკრაინელ ლტოლვილებს უფასო სამართლებრივ დახმარებას უწევს, როგორც ლტოლვილის სტატუსის მოპოვების, აგრეთვე, ბინადრობასთან დაკავშირებით. ცენტრის იურისტების ცნობით, საქართველოში უკრაინელ ლტოლვილებს, ასევე, დაბრკოლებები ექმნებოდათ საქართველოს საზღვრის დატოვებისას, რადგან მათ სთხოვდნენ სხვადასხვა საბუთს, მათ შორის - არარელევანტურ დოკუმენტებსაც. უკრაინელ ლტოლვილებთან ურთიერთობისას იკვეთება ისეთი პრობლემაც, როგორიცაა სახელმწიფო სტრუქტურებს შორის არაკოორდინირებული მუშაობა[7].

- **რუსეთის მოქალაქეების მიგრაცია საქართველოში**

უკრაინის ომის მიმდინარეობისას 2022 წელს საქართველოში არა მხოლოდ ომისგან დაზარალებული უკრაინელები, არამედ ათიათასობით ადამიანი რუსეთიდანაც შემოვიდა. შინაგან საქმეთა სამინისტრო აქვეყნებს ყოველთვიურ სტატისტიკას საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილების შესახებ. შსს-ს მაისი-ოქტომბრის მონაცემებით, ყოველთვიურად საქართველოში შემოსული უცხო ქვეყნის მოქალაქეთა შორის პირველ ადგილზე რუსეთის ფედერაციაა[8]. რუსეთიდან საქართველოში შემოდიან ისეთი ადამიანებიც, რომლებიც რუსეთზე დაწესებული სანქციებიდან გამომდინარე, რთულ ეკონომიკურ ვითარებას გაურბიან. საქართველოს საზღვარზე გადმომსვლელთა რაოდენობის გაზრდაზე, ასევე, უდიდესი გავლენა იქონია რუსეთში გამოცხადებულმა სამხედრო მობილიზაციამაც[9].

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 ივნისის №255 დადგენილების შესაბამისად, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებს აქვთ საქართველოში უვიზოდ შემოსვლისა და ქვეყანაში 1 წლის ვადით ყოფნის უფლება.

---

[6] იხ. ქ. თბილისის მერიის განცხადება (17.07.2022)

[7] იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება, ადამიანის უფლებათა ცენტრი უკრაინელი ლტოლვილების საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამის დასრულებას ეხმიანება (10.08.2022)

[8] იხ. შინაგან საქმეთა სამინისტრო, საჯარო ინფორმაცია, საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებული პირებისა და ტრანსპორტის სტატისტიკური მონაცემები

[9] იხ. შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება (27.09.2022)

საქართველოში შეიქმნა პეტიცია, რომლის ხელმომწერებიც რუსეთისა და ბელორუსიის მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის დაწესებას მოითხოვენ[10]. ამასთან, 2022 წლის აგვისტოში, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმაც გაავრცელეს ერთობლივი განცხადება, რუსეთის მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის დაწესებასთან დაკავშირებით. განცხადებაში მითითებულია, რომ საქართველოში შემოსული რუსეთის მოქალაქეებისა და ბიზნესის კონტროლი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების საკითხია. საზოგადოებრივი ორგანიზაციების შეფასებით, საქართველოს განგრძობადი ოკუპაცია, რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოში ჩადენილი ეთნიკური წმენდა, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტი და რუსეთის ფედერაციის მიერ ხშირად გამოყენებული მიდგომა - საკუთარი მოქალაქეების ე.წ. დაცვის საბაბით, უცხო ქვეყანაში ინტერვენციასთან დაკავშირებით - საკმარის საფუძველს ქმნის რუსეთთან სავიზო რეჟიმის დასაწესებლად.[11] ამავე თემაზე ისაუბრა საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმაც, რომელმაც მოქმედი სავიზო რეჟიმი ლიბერალურად შეაფასა და მისი გადახედვა არ გამორიცხა. თუმცა, პრეზიდენტი ამ ეტაპზე რუსეთის მოქალაქეების საქართველოში შემოსვლას საფრთხის შემცველად არ მიიჩნევს[12].

აღსანიშნავია ის სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტებიც, რაც საზღვრის კვეთისას ჩრდილოეთ კავკასიელების მიმართ ვლინდება. საზოგადოებრივი ორგანიზაციების განცხადებით, ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ადამიანები (ან ისინი, ვინც მათ გვანან ფიზიკურად სხვადასხვა გარეგნული, რელიგიური და კულტურული ატრიბუტით) საათების განმავლობაში გადიან შემოწმების რთულ და ხანგრძლივ პროცესს მხოლოდ მათთვის გამოყოფილ სპეციალურ ოთახში და ზოგჯერ გაჭიანურებულ, რამდენიმედღიან შესწავლასაც კი ექვემდებარებიან. ორგანიზაციებმა მოუწოდეს სახელმწიფოს თანასწორობისა და ღირსების პატივისცემის პრინციპების დაცვისკენ, რათა აღმოიფხვრას სავარაუდო დისკრიმინაციული შემთხვევები. საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, ასევე, მოუწოდეს საქართველოს მთავრობას რუსეთის მოქალაქეების მიგრაციის მაღალი მასშტაბების გათვალისწინებით, შექმნას სამუშაო და პოლიტიკური ფორმატები, რომელიც ამ პროცესთან დაკავშირებული რისკების, უსაფრთხოების, პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ეფექტების გაზომვისა და რელევანტური შემაკავებელი და

[10] იხ. პეტიცია

[11] იხ. სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება: დაწესდეს სავიზო რეჟიმი რუსეთის მოქალაქეებისთვის (17.08.2022)

[12] იხ. Civil.ge-ის სტატია (17.10.2022)

მაკომპენსირებელი ზომების მიღების შესახებ მსჯელობის სივრცე იქნება საზოგადოებრივ ჯგუფებთან და პოლიტიკურ ოპოზიციასთან“[13].

4. ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი

უკრაინაში მიმდინარე პროცესებმა მსოფლიოს პოლიტიკური დღის წესრიგი შეცვალა. რუსეთის თავდასხმიდან ოთხი დღის შემდეგ, უკრაინის პრეზიდენტმა, ვოლოდიმირ ზელენსკიმ ევროკავშირის წარმომადგენლებს ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ ოფიციალური განაცხადი წარუდგინა[14]. რუსეთ-უკრაინის ომმა ბიძგი მისცა ევროკავშირის გაფართოების დაწყებას და შესაძლობების ფანჯარა „ასოცირებული ტრიოს“ დანარჩენ ორ წევრს - მოლდოვასა და საქართველოსაც გაეხსნა[15]. 2022 წლის 3 მარტს, საქართველომ და მოლდოვამ ევროკავშირს გაწევრიანების თხოვნით მიმართეს. მეორე დღესვე, ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ საქართველოში მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება გავრცელდა[16]. **მთავრობის გადაწყვეტილება - ოფიციალურად მიემართა ევროკავშირისთვის, დროული და სწორი ნაბიჯი იყო, რადგან ეს საქართველოს ევროპული გზის ლოგიკურ გაგრძელებას და ლეგიტიმურ მისწრაფებას წარმოადგენს.**

2022 წლის 17 ივნისს ევროპულმა კომისიამ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებით საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის განცხადებებზე მოსაზრებები გამოაქვეყნა[17]. ევროკომისიის რეკომენდაციის საფუძველზე უკრაინასა და მოლდოვას კანდიდატის სტატუსი მიენიჭათ, ხოლო საქართველოს თაობაზე ევროკომისიამ ევროპულ საბჭოს ურჩია, რომ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების საკითხს ქვეყნის მხრიდან კონკრეტული პირობების შესრულების შემდგომ დაბრუნებოდა. ევროკავშირმა საქართველოსთვის 12 პრიორიტეტი დასახა, რომლის შესრულების შემთხვევაში, ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის

---

[13] იხ. სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება: შემაშფოთებელია ჩრდილოეთკავკასიელების მიმართ საზღვარზე შემოწმების სავარაუდო დისკრიმინაციული მიდგომა (28.09.2022)

[14] იხ. ინტერპრესნიუსის სტატია (28.02.2022)

[15] დეტალური ინფორმაციისთვის იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის კვლევა - ნატო რუბანოვი, *ევროკავშირის წევრობის პერსპექტივა და 12 პირობა საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მისაღებად - რა იქნება შემდეგ?* (2022)

[16] სამოქალაქო საზოგადოების მიმართვა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების დაჩქარებული პროცედურის დაუყოვნლებლივ დაწყების შესახებ (04.03.2022)

[17] Directorate-General for Neighbourhood and Enlargement Negotiations, European Commission, The European Commission recommends to Council confirming Ukraine, Moldova and Georgia's perspective to become members of the EU and provides its opinion on granting them candidate status (17 June 2022)

სტატუსის მინიჭების რეკომენდაცია გასცა. პრიორიტეტები ეხება საქართველოში არსებული დეპოლარიზაციის დაძლევას, სასამართლო რეფორმას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის პროაქტიულ გამოყენებას, დეოლოგარქიზაციას, ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ძალისხმევის გაძლიერებას, ყველა დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო ჩართულობის გაძლიერებას.

ევროკავშირის მიერ დასახული პრიორიტეტები დეტალურად ეხმიანება იმ აქტუალურ და პრობლემურ საკითხებს, რაც საქართველოში ადამიანის უფლებების მდგომარეობას უკავშირდება. დოკუმენტი ორიენტირებულია საქართველოს დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და სამართლის უზენაესობის განვითარებისკენ. შესაბამისად, მითითებული პრიორიტეტების შესრულება მხოლოდ ევროკავშირთან დაახლოებას კი არ ემსახურება, არამედ თითოეული პრიორიტეტი მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტებს.

2022 წლის 27 ივნისს საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, ხოლო 2022 წლის 1 ივლისს - მთავრობამ ევროკომისიის მიერ დასახული პრიორიტეტების შესრულებასთან დაკავშირებით სამოქმედო გეგმები გამოაქვეყნეს[18]. საქართველოს პარლამენტში სამუშაო ჯგუფებიც შეიქმნა. მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების პროაქტიულად გამოყენებასთან დაკავშირებით, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის მუშაობა დადებითად შეიძლება, შეფასდეს.

ევროკავშირის რეკომენდაციების შესრულების პროცესს პოლიტიკური დაძაბულობა ახლავს თან. საპარლამენტო უმრავლესობა და ოპოზიცია ვერ ახერხებს თანამშრომლობას. ასევე, პრობლემურია საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან კონფლიქტი. ერთ-ერთ სამუშაო ჯგუფში, რომელიც საარჩევნო საკითხებზე მუშაობდა, ამ თემაზე მომუშავე ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ორგანიზაცია - სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED) არ მიიწვიეს[19]. ამ გადაწყვეტილებას სხვა

[18] დეტალური ინფორმაციისთვის იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის კვლევა - ნატო რუბანოვი, *ევროკავშირის წევრობის პერსპექტივა და 12 პირობა საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მისაღებად - რა იქნება შემდეგ?* (2022)

[19] იხ. Civil Georgia-ს სტატია(18.08.2022)

ორგანიზაციების მხრიდან პროტესტი მოჰყვა რადგან მსგავსი მიდგომა დეპოლარიზაციის პროცესს ეწინააღმდეგება[20].

ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით უმნიშვნელოვანესია სახალხო დამცველის ინსტიტუტის სიძლიერე და დამოუკიდებლობა. საქართველოს სახალხო დამცველი არის კონსტიტუციური ინსტიტუტი, რომელიც ზედამხედველობს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. სახალხო დამცველის ინსტიტუტის გაძლიერების მნიშვნელობას ხაზი გაუსვა ევროკომისიამაც და საქართველოს მოუწოდა ახალი სახალხო დამცველის წარდგენის გამჭვირვალედ წარმართვისკენ და ინსტიტუტის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისკენ[21].

2022 წლის 22 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა კენჭი უყარა სახალხო დამცველობის კანდიდატებს, მაგრამ ხმათა საჭირო რაოდენობა ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო. კენჭისყრას წინ უსწრებდა კანდიდატებთან გასაუბრებები. ხმათა საჭირო რაოდენობა (90) ვერ მოიპოვა სამოქალაქო საზოგადოების ფართო ჯგუფის მიერ წარდგენილმა კანდიდატებმაც[22]. საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა შეშფოთება გამოხატეს სახალხო დამცველის არჩევის პროცესის ჩავარდნის გამო, რაც საფრთხეს უქმნის საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესს. ორგანიზაციებმა მოუწოდეს მმართველ პარტიას, ითანამშრომლოს ოპოზიციასთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან, რათა უზრუნველყოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუტის მისაღებად თორმეტივე პირობის დროული შესრულება. საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ დასახელებულმა კანდიდატებმა პარლამენტის თავჯდომარის მიერ შექმნილი კომისიის უმაღლესი შეფასება მიიღეს, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ მათ მიმართ მმართველი ძალის პრეტენზია პოლიტიკურია და ხელისუფლებისადმი პარტიული ლოიალობის ნაკლებობას უკავშირდება[23].

ურთიერთბრალდებების ფონზე მიმდინარეობს პროცესი დეოლიგარქიზაციის საკითხზე. დეოლოგარქიზაციის საკანონმდებლო ბაზის

[20] იხ. Civil Georgia-ს სტატია (22.08.2022)

[21] Directorate-General for Neighbourhood and Enlargement Negotiations, European Commission, The European Commission recommends to Council confirming Ukraine, Moldova and Georgia's perspective to become members of the EU and provides its opinion on granting them candidate status (17 June 2022)

[22] იხ. სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება: არასამთავრობო ორგანიზაციებმა შეარჩიეს სახალხო დამცველის კანდიდატები, რომლებსაც მხარს დაუჭერენ (27.09.2022)

[23] იხ. სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება: სახალხო დამცველის აურჩევლობა აზიანებს ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესს (26.12.2022)

უკრაინული მოდელის თარგმნა და გადმოღება მიუღებელია ოპოზიციისთვის[24]. საბოლოოდ, საქართველოს პარლამენტმა კანონპროექტი შეფასებისთვის გაუგზავნა ვენეციის კომისიას, რაც ევროკავშირის დელეგაციის მხრიდან დადებითაც შეფასდა[25].

ადამიანის უფლებათა ცენტრი მიესალმება ასეთ მნიშვნელოვან პროცესში საერთაშორისო პარტნიორების ჩართვას, მაგრამ აუცილებელია, მსგავსი კომპეტენტური ინსტიტუტების თუ ორგანიზაციების მოსაზრებები შემდგომში მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული. საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება. ამიტომ მის მისაღებად აუცილებელია, ქვეყანამ ევროპულ ინსტიტუტებთან ურთიერთობის გაუმჯობესებაზე აქტიურად იმუშაოს და ევროკომისიის მიერ განსაზღვრული პირობები, კონსტრუქციული თანამშრომლობის ფარგლებში, დროულად შესრულდეს[26].

5. საქართველოს მესამე პრეზიდენტი და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა

2021 წლის 1 ოქტომბერს საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დააკავეს[27]. დაკავებისა და N12 პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებისთანავე, სამართლიანი და დროული სასამართლოს მოთხოვნით, ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა მიხეილ სააკაშვილმა პროტესტის უკიდურესი ფორმა - შიმშილობა (საკვების არმიღება) გამოაცხადა[28]. 2022 წლის 20 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოში, სასამართლო სხდომაზე, სადაც მიხეილ სააკაშვილის მიერ საზღვრის უკანონო კვეთის საქმე იხილებოდა, სააკაშვილმა დარბაზიდან გაყვანა და ექიმის დახმარება ითხოვა. მან აღნიშნა, რომ გორის სამხედრო ჰოსპიტალში მისი მკურნალობა ეფექტიანი არ იყო. ამავე სასამართლო სხდომაზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ, ნინო ჩახნაშვილმა ნაწილობრივ დააკმაყოფილა ადვოკატების შუამდგომლობა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის დირექტორს პატიმრობაში მყოფი

[24] იხ. რადიო თავისუფლების სტატია (03.10.2022)
[25] EU Delegation to Georgia on Twitter (28.02.2022)
[26] ნატო რუბანოვი, *ევროკავშირის წევრობის პერსპექტივა და 12 პირობა საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მისაღებად - რა იქნება შემდეგ?* ადამიანის უფლებათა ცენტრი (2022) გვ. 32
[27] დეტალური ინფორმაციისთვის იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის წლიური ანგარიში - ადამიანის უფლებების მდგომარეობა საქართველოში, 2021 (2022) გვ. 15
[28] დეტალური ინფორმაციისთვის იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის კვლევა - გიორგი ტყებუჩავა, *პატიმრის უფლება ჯანდაცვაზე - მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სასამართლო პროცესის და თანმდევი მოვლენების* ანალიზი (2022)

სააკაშვილისთვის „სათანადო, ადეკვატური სამედიცინო მომსახურება“ დაავალა[29].

2022 წლის 10 მაისს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ მიხეილ სააკაშვილს შესთავაზა კლინიკა „ვივამედში“ გადაყვანა[30]. 2022 წლის 12 მაისის შემდეგ მიხეილ სააკაშვილი ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით კლინიკა „ვივამედში“ მკურნალობს.

ადამიანის უფლებათა ცენტრი სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული სასამართლო პროცესების მონიტორინგს ახორციელებს და აქტიურად ადევნებს თვალს მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესებსა და მის ჯანმრთელობის მდგომარეობას.

2022 წლის 3 ოქტომბერს, მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის შესასწავლად, საქართველოში სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი - ჯეიმს კობი ჩამოვიდა. ექსპერტის განცხადებით, სააკაშვილს ესაჭიროება მაღალი დონის სამედიცინო მომსახურება და არ არსებობს მიზეზი, რის გამოც ის უნდა გრძნობდეს თავს ისე ცუდად, როგორც ახლა არის[31].

2022 წლის 19 ნოემბერს გავრცელდა ინფორმაცია, რომ მიხეილ სააკაშვილის ორგანიზმში ვერცხლისწყალი აღმოაჩინეს[32]. სააკაშვილის ადვოკატის ინფორმაციით, ყოფილი პრეზიდენტის ნიმუშებში კიდევ ერთი მომწამლავი ნივთიერება - დარიშხანი არის ნაპოვნი[33].

მიხეილ სააკაშვილის ადვოკატებმა 2022 წლის 1 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს მესამე პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო სასჯელისგან გათავისუფლების, ან ალტერნატივის სახით სასჯელის გადავადების შესახებ შუამდგლობლობით მიმართეს. შუამდგომლობა ეყრდნობა ქართველი და უცხოელი ექსპერტების შეფასებებს, დაცვის მხარის მიერ მოპოვებულ მტკიცებულებებსა და სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებს.

2022 წლის 14 დეკემბრის სასამართლო სხდომაზე მიხეილ სააკაშვილი „ვივამედის“ კლინიკიდან დისტანციურად ვერ ჩაერთო, რადგან პენიტენციური

---

[29] *იქვე*, გვ. 6.

[30] იხ. Interpressnews-ის სტატია (10.05.2022)

[31] დეტალური ინფორმაციისთვის იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის კვლევა - გიორგი ტყებუჩავა, *პატიმრის უფლება ჯანდაცვაზე - მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სასამართლო პროცესის და თანმდევი მოვლენების* ანალიზი (2022) გვ. 8

[32] იხ. რადიო თავისუფლების სტატია (19.11.2022)

[33] იხ. საქართველოს ახალი ამბების სააგენტოს სტატია (28.11.2022)

სამსახურის განმარტებით, ადგილზე არ იყო შესაბამისი ტექნიკური საშუალებები. ამასთან, სასამართლო სხდომაზე პენიტენციური სამსახურის წარმომადგენელმა, იმ მოტივით, რომ სრულად არ იცნობდა საქმის მასალებს, პროცესის ერთი თვით გადადების შუამდგომლობა დააყენა[34]. ამავე დღეს, პენიტენციურმა სამსახურმა კლინიკა „ვივამედის“ კამერით გადაღებული მიხეილ სააკაშვილის კადრები გამოაქვეყნა. პენიტენციურმა სამსახურმა კადრების გამოქვეყნება მაღალი საზოგადოებრივი ინტერესით ახსნა[35]. მიხეილ სააკაშვილის ადვოკატის, შალვა ხაჭაპურიძის თქმით, მესამე პრეზიდენტს კადრების გავრცელებაზე თანხმობა არ გაუცია[36]. მიხეილ სააკაშვილის სამედიცინო დაწესებულებაში ყოფნის ამსახველი ვიდეოჩანაწერების გავრცელების საკითხის შესწავლა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა დაიწყო[37]. დამატებით, მიხეილ სააკაშვილის ადვოკატმა კლინიკა „ვივამედში“ გადაღებული კადრების გასაჯაროების ფაქტზე გამოძიების მოთხოვნით სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს მიმართა. ამასთან, ადვოკატი გამოძიების მიმდინარეობის დროს იუსტიციის მინისტრის, პენიტენციური სამსახურის ხელმძღვანელისა და სამედიცინო დეპარტამენტის თავმჯდომარისთვის უფლებამოსილების შეჩერებას ითხოვს[38].

საქართველოს მესამე პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების პირობებში, **სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის, სახალხო დამცველის სპეციალური კონსილიუმის დასკვნისა და ევროპარლამენტარების მოწოდების მიუხედავად, ხელისუფლება არ აღიარებს პატიმრის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვისთვის მყისიერი ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობას. ამ პრობლემის გამო,** საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა მოუწოდეს ხელისუფლებას, ჯეროვნად გაიაზროს სახელმწიფოს ვალდებულებები ადამიანის ძირითადი უფლებების სფეროში, შეწყვიტოს გულგრილი დამოკიდებულება მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობისადმი და იტვირთოს პასუხისმგებლობა მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის გადასარჩენად[39].

---

[34] იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის დამძიმების და არასათანადო მოპყრობის თაობაზე (15.12.2022)
[35] იხ. პუბლიკას სტატია (14.12.2022)
[36] იხ. რადიო თავისუფლების სტატია (14.12.2022)
[37] იხ. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის განცხადება (15.12.2022)
[38] იხ. Euronews Georgia-ს სტატია (16.12.2022)
[39] იხ. სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების განცხადება - ხელისუფლებამ უნდა იტვირთოს პასუხისმგებლობა მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე (14.12.22)

საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებმა არაერთხელ მიმართეს საქართველოს პრეზიდენტს, სალომე ზურაბიშვილს, გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება და შეიწყალოს მიხეილ სააკაშვილი. ამ საკითხზე სალომე ზურაბიშვილმა BBC-სთან ინტერვიუში განმარტა, რომ სანამ საბოლოო განაჩენი არ გამოცხადდება, კანონმდებლობის შესაბამისად, მას მიხეილ სააკაშვილის შეწყალების უფლება არ აქვს, მაგრამ ის ადევნებს თვალს სააკაშვილთან დაკავშირებულ მოვლენებს[40].

ადამიანის უფლებათა ცენტრი მოუწოდებს შესაბამის სახელმწიფო უწყებებს, დაიცვან მიხეილ სააკაშვილის, ისევე, როგორც ყველა ბრალდებულ/მსჯავრდებულის საპროცესო და მატერიალური უფლებები და გააკეთონ ყველაფერი, რათა თავიდან იქნეს აცილებული ლეტალური შედეგები.

6. სასამართლო ხელისუფლება

სასამართლო ხელისუფლებასთან დაკავშირებული გამოწვევები 2022 წელსაც გრძელდებოდა. ევროკომისიის მიერ დასახული პრიორიტეტებიდან ერთ-ერთი სწორედ გამჭვირვალე და ეფექტიანი სასამართლო რეფორმის სტრატეგიისა და სრულიად და ნამდვილად დამოუკიდებელი, ანგარიშვალდებული და მიუკერძოებელი სასამართლოს ჩამოყალიბებაა[41]. აქედან გამომდინარე, ქვეყნის ასეთ მნიშვნელოვან ეტაპზე, აუცილებელია, რომ ყველაფერი გაკეთდეს საქართველოს ევროპული ორიენტაციისა და დემოკრატიის მხარდასაჭერად. მიუხედავად ამისა, გამოიკვეთა ხარვეზები, როგორც სასამართლო ხელისუფლების დაკომპლექტების, ასევე, სასამართლოს მხრიდან ზოგიერთი საქმის პოლიტიზების კუთხით.

2022 წლის 27 ივნისს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიხეილ ჩინჩალაძის თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე დანიშვნას ერთხმად დაუჭირა მხარი. კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ შეფასებით, მიხეილ ჩინჩალაძე სასამართლო სისტემაში არსებული მთავარი გამოწვევის - მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის ერთ-ერთი საკვანძო ფიგურაა[42]. საზოგადოებრივმა

[40] იხ. რადიო თავისუფლების სტატია (21.11.2022)

[41] Directorate-General for Neighbourhood and Enlargement Negotiations, European Commission, The European Commission recommends to Council confirming Ukraine, Moldova and Georgia's perspective to become members of the EU and provides its opinion on granting them candidate status (17 June 2022)

[42] იხ. კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭირვალე მართლმსაჯულებისთვის განცხადება, მიხეილ ჩინჩალაძის მეორე ვადით დანიშვნა ევროპული ინტეგრაციის პროცესს აზიანებს (30.06.2022)

ორგანიზაციებმა არაერთხელ გაავრცელეს ინფორმაცია გარკვეულ მოსამართლეთა გავლენებზე, რომელთა დახმარებითაც მოქმედი და წინა ხელისუფლებები სასამართლო სისტემას აკონტროლებდნენ[43].

2022 წლის 6 აგვისტოს გამოქვეყნდა სტუდია „მონიტორის“ ჟურნალისტური გამოძიება, რომლის თანახმადაც, სასამართლო სისტემაში წლების განმავლობაში მაღალ ადმინისტრაციულ პოზიციებზე მყოფი მოსამართლეების შემოსავალი და ქონება საეჭვოა[44]. 2022 წლის 23 სექტემბერს საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა განცხადება გამოაქვეყნეს და საქართველოს პარლამენტში სპეციალური საგამოძიებო კომისიის შექმნა მოითხოვეს, რომლის ფარგლებშიც მედიაში მოსამართლეთა გარკვეული ჯგუფის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია იქნება გამოკვლეული[45].

2022 წლის 24 ოქტომბერს კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭირვალე მართლმსაჯულებისთვის“[46] მოსამართლეთა 31-ე კონფერენციის ფარგლებში იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წევრებად ლევან მურუსიძისა და დიმიტრი გვირიტიშვილის არჩევას გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ მათი ხელახალი არჩევა „აძლიერებს სასამართლოში არსებულ კლანურ მმართველობას და ხელს უშლის მართლმსაჯულების სისტემის ფუნდამენტურ რეფორმას[47]“. თავის მხრივ, კომენტარი გააკეთეს ლევან მურისიძემ და დიმიტრი გვრიტიშვილმაც. დიმიტრი გვრიტიშვილმა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს „აბსოლუტურად პოლიტიზებული სუბიექტების ერთობა“ უწოდა[48].

აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის, ლევან მურუსიძის განცხადებამ, რითაც დააკნინა აშშ-ის საელჩოს მოსამართლეებისთვის განკუთვნილი პროგრამა, რომლის ფარგლებში ქართველ მოსამართლეებს შესაძლებლობა აქვთ, გაეცნონ ამერიკელი კოლეგების გამოცდილებას[49]. აშშ-ის

---

[43] იხ. სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების განცხადება, სამოქალაქო სექტორი სასამართლო სისტემაში არსებული ვითარების შესასწავლად საგამოძიებო კომისიის შექმნას ითხოვს (23.09.2022)

[44] იხ. სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების განცხადება, სახელმწიფო უწყებებმა დაუყოვნებლივ უნდა მოახდინონ რეაგირება სასამართლო ხელისუფლებაში სისტემური კორუფციის ნიშნებზე (10.08.2022)

[45] იხ. სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების განცხადება, სამოქალაქო სექტორი სასამართლო სისტემაში არსებული ვითარების შესასწავლად საგამოძიებო კომისიის შექმნას ითხოვს (23.09.2022)

[46] ადამიანის უფლებათა ცენტრი დამოუკიდებელი და გამჭირვალე მართლმსაჯულებისთვის კოალიციის წევრი და მმართველი კომიტეტის თავჯდომარის მოადგილეა.

[47] იხ. Civil.ge-ს სტატია (25.10.2022)

[48] იხ. Civil.ge-ს სტატია (26.10.2022)

[49] იხ. რადიო თავისუფლების სტატია (27.10.2022)

ელჩის, კელი დეგნანის თქმით, ქართველი მოსამართლეები პროგრამაში მონაწილეობით კმაყოფილნი არიან. მისივე ინფორმაციით, ეს არის ნაყოფიერი აზრთა გაცვლა-გამოცვლა და ემსახურება იმ ძალისხმევას, რაც მიმართულია სასამართლო სისტემის მოდერნიზებაზე. აშშ-ის ელჩის განცხადებით, აშშ გააგრძელებს მოსამართლეთა მხარდაჭერას, რათა შეძლონ მტკიცებულებებზე დამყარებული გადაწყვეტილებების მიღება[50].

7. შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება

რუსეთის მხრიდან უკრაინის თავდასხმის მეორე დღეს, თბილისში, პარლამენტის წინ უკრაინის მხარდამჭერი აქცია გაიმართა. აქციის მონაწილეები საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებებს აპროტესტებდნენ. კერძოდ, პრემიერმა 2022 წლის 25 თებერვალს განაცხადა, რომ საქართველო რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ ფინანსურ და ეკონომიკურ სანქციებში მონაწილეობას არ აპირებს[51]. აქციაზე შეკრებილი მოქალაქეები აფიქსირებდნენ, რომ პრემიერ-მინისტრის პოზიცია მოსახლეობის უმრავლესობის აზრს არ გამოხატავდა[52]. უკრაინის პრეზიდენტმა, ვოლოდიმირ ზელენსკიმ აქციის მონაწილეების მიმართ მადლიერება Twitter-ის საშუალებით გამოხატა და აღნიშნა: „არის შემთხვევები, როდესაც ხალხი არ არის მთავრობა, არამედ მასზე უკეთესია[53]“.

2022 წლის 20 ივნისს თბილისსა და რეგიონებში აქცია „შინ ევროპისკენ“ გაიმართა. ხალხის შეკრებას წინ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით ევროკომისისიის მოსაზრება[54] უძღოდა. მრავალათასიანი შეკრების მონაწილეები ევროპულ არჩევანს აფიქსირებდნენ[55]. 2022 წლის 23 ივნისს, ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებით, უკრაინასა და მოლდოვისგან განსხვავებით, საქართველომ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი ვერ

[50] იხ. რადიო თავისუფლების სტატია (01.11.2022)
[51] იხ. ინტერპრესნიუსის სტატია (25.02.2022)
[52] იხ. Netgazeti-ის სტატია (26.02.2022)
[53] Володимир Зеленський on Twitter (26.02.2022)
[54] Directorate-General for Neighbourhood and Enlargement Negotiations, European Commission, The European Commission recommends to Council confirming Ukraine, Moldova and Georgia's perspective to become members of the EU and provides its opinion on granting them candidate status (17 June 2022)
[55] იხ. ფორმულას ინფორმაცია (20.06.2022)

მიიღო[56]. ქართველი ხალხის ევროპული არჩევანი საერთაშორისო მედიითაც გაშუქდა[57].

მოგვიანებით, მოძრაობამ „შინ ევროპისკენ“ განცხადება გაავრცელა, რომელშიც რეგიონებში საზოგადოებასთან შეხვედრების ჩაშლისა და მომხსენებლებზე თავდასხმის ფაქტებს აღწერა. კერძოდ, მოძრაობის ინფორმაციით, 3 ივლისს დაანონსებული აქციის წინ, სხვადასხვა რეგიონში როცა მოძრაობის წევრები მოსახლეობასთან ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღებასთან დაკავშირებით საინფორმაციო ტიპის შეხვედრებს მართავდნენ, მათ ბუკლეტების დარიგებისას ხელი შეუშალეს და შეხვედრის ჩაშლა სცადეს აგრესიულად განწყობილმა მმართველი პარტიის მხარდაჭერებმა და საჯარო მოხელეებმა[58]. გავრცელებულ ინფორმაციას გამოეხმაურა საქართველოს სახალხო დამცველი, რომელმაც აღნიშნა, რომ მშვიდობიანი აქციის ორგანიზება და ამ მიზნით, საინფორმაციო ბარათების გავრცელება სრულად დაცულია შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებით, რომლის სრულფასოვანი რეალიზების უზრუნველყოფა ხელისუფლების ვალდებულებას წარმოადგენს[59].

8. თანასწორობის უფლება

თანასწორობის უფლების დაცვასთან დაკავშირებული მდგომარეობა ისევ დიდ გამოწვევად რჩება. ისევე, როგორც წინა წლებში, ქალების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, LGBTQI+ თემის წარმომადგენლების თუ არადომინანტური რელიგიური და ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლების უფლებრივი მდგომარეობა კვლავ პრობლემურია.

გაეროს რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი მიესალმა საქართველოში განხორციელებულ საკანონმდებლო და ინსტიტიციურ რეფორმებს, მათ შორის - რასობრივ დისკრიმინაციასთან დაკავშირებით ფარული საგამოძიებო მოქმედებების გავრცელებას[60]. ამასთან, კომიტეტმა

---

[56] European Council, conclusions on Ukraine, the membership applications of Ukraine, the Republic of Moldova and Georgia, Western Balkans and external relations (23.06.2022)

[57] See the Article of Aljazeera (20.06.2022); See the Article of RFE/RL (20.06.2022)

[58] ღია საზოგადოების ფონდი, მოძრაობა „შინ ევროპისკენ“ განცხადება მის წევრებზე თავდასხმასთან დაკავშირებით (30.06.2022)

[59] იხ. სახალხო დამცველის განცხადება, საქართველოს სახალხო დამცველი მოძრაობა „შინ ევროპისკენ“ მიერ წარმოებულ კამპანიაში მონაწილეების მიმართ განხორციელებულ თავდასხმებს ეხმიანება (30.06.2022)

[60] United Nations, Committee on the Elimination of Racial Discrimination, CERD/C/GEO/CO/9-10 (02.12.2022), para. 4

საქართველოს ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის პრაქტიკაში ეფექტიანად გამოყენებისკენ მოუწოდა[61].

- <u>ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა</u>

2022 წლის იანვარი-ოქტომბრის პერიოდის სტატისტიკური ინფორმაციით, ქმარმა და ყოფილმა პარტნიორმა საქართველოში 16 ქალი მოკლა[62]. სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში, ასეთი ტიპის დანაშაულებზე მსხვერპლის დადანაშაულება ხდება, რაც კიდევ უფრო მეტად ამძიმებს ქალთა მდგომარეობას საქართველოში.

კვლავ სისტემური პრობლემაა სამართალდამცავთა მხრიდან არაეფექტიანი რეაგირება ძალადობის ფაქტების პრევენციის ან გამოძიების ფარგლებში. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ უკვე ორჯერ იმსჯელა საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობაზე და ორივე შემთხვევაში სახელმწიფოს მხრიდან დარღვევა დაადგინა[63]. მათ შორის, 2022 წლის 10 თებერვალს მიღებულ გადაწყვეტილებაში საქმეზე *A და B საქართველოს* წინააღმდეგ, ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ მიუხედავად კანონმდებლობით განსაზღვრული დაცვის საშუალებებისა, სამართალდამცავები არათუ არ მიმართავდნენ ამ საშუალებებს, არამედ ძირითად შემთხვევაში, მსხვერპლს არ აწვდიდნენ შესაბამის ინფორმაციას მისი საპროცესო უფლებებისა და დაცვის სხვადასხვა საკანონმდებლო თუ ადმინისტრაციული ზომების შესახებ[64].

ხარვეზები გამოვლინდა სასამართლო განხილვების დროსაც. კერძოდ, ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმოებაში არსებული საქმეებიდან იკვეთება ტენდენცია, რომ ძალადობაში ბრალდებულ პირებს აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს უფარდებენ. სასამართლოების მხრიდან, მოცემულ საქმეებზე ბრალდებულების მიმართ მსგავსი ლმობიერი მიდგომა წარმოადგენს სახიფათო ტენდენციას და ზრდის შემდგომში უფრო მძიმე შედეგების დადგომის რეალურ რისკს. ასევე, მსხვერპლისთვის დაუცველობის განცდა უფრო მატულობს, როდესაც ძალადობაში მხილებული პირი არის თავისუფლებაში[65]. ადამიანის უფლებათა ცენტრი განცხადებით გამოეხმაურა

---

[61] UN Committee on the Elimination of Racial Discrimination publishes findings on Bahrain, Botswana, Brazil, France, Georgia and Jamaica, Press Release (02.12.2022)

[62] იხ. მთავარი არხის ინფორმაცია (26.11.2022)

[63] *Tkhelidze v. Georgia,* no. 33056/17 (ECtHR, 8 July 2021); *A and B v. Georgia*, no. 73975/16 (ECtHR, 10 February 2022)

[64] *იქვე, para.* 48.

[65] იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება ოჯახში ძალადობის საქმეების წარმოებისას მართლმსაჯულების ხარვეზების თაობაზე (13.09.2022)

აღნიშნულ სახიფათო ტენდენციას. განცხადებიდან ერთი თვის შემდეგ თელავში სწორედ გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებულმა კაცმა მოკლა ახალგაზრდა ქალი. ოჯახის წევრების ინფორმაციით, მოკლული ძალადობის მსხვერპლი იყო, რაც მოსამართლემ იცოდა, მაგრამ მან ბრალდებულს თავისუფალი გადაადგილების საშუალება მისცა, რაც სავალალო შედეგით დასრულდა[66].

მუდმივი საფრთხისა და დაუცველობის შეგრძნება დაზარალებული ქალების რევიქტიმიზაციას უწყობს ხელს. დაფიქსირდა ისეთი შემთხვევაც, როდესაც პატიმრობის მოთხოვნის მიუხედავად, სასამართლომ პირს, რომელსაც გამოძიება ცოლის, მცირეწლოვანი შვილისა და ცოლის დედის მიმართ განხორციელებულ ძალადობას ედავება, მეორედ შეუფარდა აღკვეთის ღონისძიების სახედ გირაო[67]. ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტების დაკვირვებით, დაზარალებული ქალების მდგომარეობას დამატებით აუარესებს სამართალდამცავთა მხრიდან დაგვიანებული რეაგირება, ასევე - გაჭიანურებული პროცესები.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის დეფინიცია გაუპატიურების შესახებ კვლავ არ არის თანხვედრაში ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციასთან (სტამბოლის კონვენცია). საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, გაუპატიურება არის პირის სხეულში ნებისმიერი ფორმით სექსუალური ხასიათის შეღწევა სხეულის ნებისმიერი ნაწილის ან ნებისმიერი საგნის გამოყენებით, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით[68]. საერთაშორისო სისხლის სამართლის კანონმდებლობაში აღიარებულია, რომ იძულება არ არის გაუპატიურების ელემენტი და გაუპატიურებად ჩაითვლება ქმედება, როცა არ არსებობს მსხვერპლის ნებაყოფლობითი და თავისუფალი თანხმობა[69]. შესაბამისად, აუცილებელია, რომ საქართველოს კანონმდებლობა თანხვედრაში მოვიდეს საერთაშორისო სტანდარტებთან და გაუპატიურების კვალიფიკაცია არ იყოს დამოკიდებული იძულებასთან.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ის დადებითი საკანონმდებლო ცვლილებები, რაც ქალთა უფლებების დაცვას ემსახურება. სახელმწიფო პოლიტიკისა და სამართალდამცავი პირების მხრიდან ოჯახში ძალადობაზე რეაგირების

---

[66] იხ. Ambebi.ge-ს სტატია (10.10.2022)
[67] იხ. რადიო თავისუფლების სტატია (07.12.2022)
[68] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 137 (1)
[69] *M.C. v. Bulgaria*, no. 39272/98 (ECtHR, 4 December 2003), para. 163

პროგრესი ხაზგასმულია სახალხო დამცველის მხრიდანაც. თუმცა, სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშის მიხედვით, კვლავ გამოწვევად რჩება შესაბამისი ინსტიტუტების მიერ მსგავსი ძალადობის შემთხვევების სისტემურობის გამოვლენა და მის ერთიან დანაშაულად აღქმა[70].

ცვლილებები განხორციელდა კანონმდებლობაშიც, კერძოდ, 2022 წლის 1 დეკემბრიდან ძალაში შევიდა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლისათვის გასაცემი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის დადგენილება, რომლის ფარგლებშიც ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის როგორც სრულწლოვან, ისე არასრულწლოვან მსხვერპლს, აგრეთვე, ამ დანაშაულის შედეგად გარდაცვლილი მსხვერპლის დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის არასრულწლოვან შვილ(ებ)ს უფლება აქვთ, ზიანის ანაზღაურება მოითხოვონ სახელმწიფოსგან იმ შემთხვევაში, თუ დანაშაულის ჩამდენი პირისგან შეუძლებელია ზიანის ანაზღაურება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით[71]. მსხვერპლებს აქამდეც შეეძლოთ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სასამართლოს წესით, მაგრამ ახლა ამას დაემატა ზრუნვის სააგენტოც, როგორც დამხმარე რგოლი. მთავარი და მნიშვნელოვანი სიახლე ის არის, რომ თუ დამნაშავე პირისგან ვერ მოხდება თანხის ამოღება, მაშინ ეს ვალდებულება გადადის სახელმწიფოზე, რაც ნამდვილად შეიძლება განვიხილოთ დადებით ჭრილში[72]

კიდევ ერთი პოზიტიური ცვლილებაა ოჯახში ძალადობის მსხვერპლისთვის შესაძლებლობის მიცემა, რომ ისარგებლოს უფასო იურიდიული დახმარებით, როგორც სამოქალაქო და ადმინისტრაციულ, ისე სისხლის სამართლის პროცესში. კერძოდ, „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქციით, ოჯახში ძალადობის შედეგად დაზარალებულ პირს უფლება აქვს, ისარგებლოს უფასო იურიდიული დახმარებით, თუ აქვს მძიმე ფინანსური მდგომარეობა ან/და იურიდიული დამხარების სამსახურისთვის

[70] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ (2021) გვ. 151.
[71] საქართველოს მთავრობის დადგენილება №523, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლისათვის გასაცემი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე, მუხლი 4 (1) (2)
[72] იხ. რადიო თავისუფლების სტატია (13.12.2022)

მიმართვამდე 12 თვის განმავლობაში, მისი, როგორც ფიზიკური პირის, დასაბეგრი შემოსავალი არ აღემატებოდა 6000 ლარს[73].

- **ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა**

მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი და გარანტირებული იყოს ბავშვებისთვის უსაფრთხო გარემო. 2022 წლის 13 ოქტომბერს თბილისში, ვაკის პარკში მომხდარმა ტრაგედიამ მთელი ქვეყანა შეძრა. ახლადშეკეთებულ შადრევანში დენის დარტყმის შედეგად 13 წლის მარიტა მეფარიშვილი გარდაიცვალა, ხოლო ორი ბავშვი დაშავდა. მიმდინარეობს გამოძიება. ტრაგედიას გამოეხმაურა გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) წარმომადგენელი საქართველოში, ღასან ხალილი, რომელმაც მოუწოდა როგორც ეროვნულ, ისე ქალაქის ხელისუფლებას, თავიანთი პასუხისმგებლობის ფარგლებში, სპეციალისტებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან და კერძო სექტორთან კოორდინირებულად, გააკეთონ ყველაფერი, რათა უზრუნველყონ ბავშვების უსაფრთხოება საჯარო სივრცეში და ხელი შეუწყონ ბავშვების გადარჩენის, თამაშის, დასვენებისა და განვითარების უფლების დაცვას[74].

საქართველოს სახალხო დამცველის განცხადებით, ქვეყნის ერთ-ერთ ძირითად გამოწვევად ისევ რჩება ბავშვთა სიღარიბის მზარდი მაჩვენებელი. წინა წლებთან შედარებით, 28%-ით გაიზარდა „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ ჩარიცხული ბავშვიანი ოჯახების რაოდენობა და პროგრამაში არასრულწლოვნების რიცხვმა 235 252-ს მიაღწია. თუმცა, ქვეყანაში არსებული პროგრამები კვლავ ვერ უზრუნველყოფს სიღარიბეში მცხოვრები ოჯახების გრძელვადიან მხარდაჭერას და მათი სოციალური ფუნქციის ამაღლებას. სახელმწიფოში კი ამ დრომდე არ არსებობს ბავშვთა სიღარიბის, ბავშვთა შრომის შემცირების ეფექტიანი სტრატეგია და მექანიზმი[75]. სახალხო დამცველის ანგარიშში, ასევე, მითითებულია, რომ საქართველოში გართულდა ბავშვთა მდგომარეობის შეფასებაც. ხშირ შემთხვევაში მათ მიმართ ფიზიკური ან/და ფსიქოლოგიური ძალადობის გამოვლენა დროულად ვერ ხდება. ამას ემატება უწყებებს შორის კოორდინირებული მოქმედებების პრობლემა, რაც ასევე მიუთითებს ბავშვთა დაცვის შესახებ სახელმწიფო პოლიტიკის არაეფექტიანობაზე[76].

---

[73] საქართველოს კანონი იურიდიული დახმარების შესახებ, მუხლი 5 (2^6)

[74] იხ. გაეროს ბავშვთა ფონდის განცხადება, ქალაქები გახდეს ბავშვებზე მორგებული და უსაფრთხო (31.10.2022)

[75] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება (31.05.2022)

[76] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021 წელი, გვ. 268

უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე, საყურადღებოა საქართველოში მყოფი უკრაინელი ბავშვების ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის ხელშეწყობა და სათანადო პირობების უზრუნველყოფა. ასეთ პირობებში, უკრაინელი ლტოლვილებისთვის საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამის დასრულება საკმაოდ რთულ ვითარებაში აყენებს ომის სისასტიკეს გამორიდებულ ბავშვებს[77].

- **ეროვნული უმცირესობები**

ეროვნული უმცირესობების მდგომარეობა საქართველოში მთელ რიგ პრობლემებს უკავშირდება. გაეროს რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა შეშფოთება გამოხატა, რომ ეთნიკური უმცირესობების მიმართ დისკრიმინაციული მიდგომა მუდმივად გრძელდება[78]. კომიტეტმა რამდენიმე პრობლემა გამოყო, მათ შორის: პოლიტიკურ დაწესებულებებში ეთნიკური უმცირესობების ნაკლებობა[79]; ენის ბარიერიდან გამომდინარე ინტეგრაციის პრობლემა; ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში სკოლების არასაკმარისი რესურსები[80].

2022 წლის 28 მარტს, სოციალურ ქსელებში ორი ჰეშთეგი გავრცელდა - *#ქართული2250ლარად #მასწავლექართულიუფასოდ*. ჰეშთეგით მოქალაქეები აპროტესტებდნენ ფაქტს, რომ პროგრამა 1+4-ზე სწავლისას სახელმწიფო ენის ერთწლიანი კურსის გასავლელად მათ 2250 ლარის გადახდა უწევთ. პლატფორმა „სალამის“ დამფუძნებლის, ქამრან მამადლის თქმით, არასწორი დამოკიდებულებაა სახელმწიფოსგან, როცა მის მოქალაქეებს სახელმწიფო ენის სწავლაში ფულის გადახდა უწევთ[81].

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ განათლების სექტორის მიმოხილვის თანახმად, ეთნიკური უმცირესობების და სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების გამოწვევების იდენტიფიცირებისას გამოვლინდა, რომ 2018-2022 წლებში 309 მასწავლებლის ვაკანსია დარჩა

---

[77] იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება, ადამიანის უფლებათა ცენტრი უკრაინელი ლტოლვილების საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამის დასრულებას ეხმიანება (10.08.2022)

[78] United Nations, Committee on the Elimination of Racial Discrimination, CERD/C/GEO/CO/9-10 (02.12.2022), para. 7

[79] მაგალითისთვის, იხ. პლატფორმა სალამ-ის მიერ გავრცელებული ინფორმაცია: „მერიაში მშობლიურ ენაზე დაწერილ განცხადებებს არ იღებენ, ამბობენ, რომ ქართულად უნდა იყოს. თუმცა თავის დროზე ჩვენ ქართული ენა არ გვასწავლეს“.- რაშიდ იაგუბოვი (82 წლის)

[80] United Nations, Committee on the Elimination of Racial Discrimination, CERD/C/GEO/CO/9-10 (02.12.2022), para. 7

[81] იხ. batumelebi.netgazeti.ge-ის სტატია (28.03.2022)

შეუვსებელი. მეორე მხრივ, აღსანიშნავია, რომ გაიზარდა ეთნიკური უმცირესობებისთვის პროფესიულ განათლებაზე წვდომა. ამას ხელი შეუწყო გადაწყვეტილებამ, რომ მსურველებს შეუძლიათ, პროფესიულ სასწავლებელში მოსახვედრად პროფესიული ტესტირება ჩააბარონ სომხურ, რუსულ ან აზერბაიჯანულ ენაზე[82].

2022 წლის 25 ოქტომბერს მარნეულის მუნიციპალიტეტში მომუშავე შვიდმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ[83] ინიციატივით მიმართა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიას, მარნეულის მუნიციპალიტეტში გაიზარდოს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ჩართულობა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ზოგადად, ხელი შეეწყოს ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციის პროცესს. ინიციატივა მოიაზრებს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში უმცირესობის ენაზე თარგმნის რესურსებისა და მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიაში ინტერეთნიკური საკონსულტაციო საბჭოს შექმნას[84].

- **რელიგიის თავისუფლება**

საქართველოში კვლავ გრძელდება არადომინანტური რელიგიური ჯგუფების უფლებების დარღვევა, როგორც საკანონმდებლო დონეზე, ასევე, ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან.

2022 წლის 1 ივლისს ბოლნისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა სოციალური სამართლიანობის ცენტრის სარჩელი, რომლის ფარგლებშიც გასაჩივრებული იყო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მხოლოდ ადგილობრივი ეპარქიის დაფინანსების წესი. სასამართლომ ბათილად ცნო სადავო ნორმა და მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ რელიგიის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაცია დაადგინა. სასამართლომ განმარტა, რომ *„400 000 ლარით „მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქიის“ სრულფასოვანი ფუნქციონირების ხელშეწყობის ნაწილში, სსიპ სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველოს მიმართ, ადგილი ჰქონდა ერთგვაროვან ვითარებაში მყოფი სუბიექტების მიმართ განსხვავებულ მოპყრობას, რომელიც მოსარჩელის*

[82] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, განათლების სექტორის მიმოხილვა, ეთნიკური უმცირესობების და სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების გამოწვევების იდენტიფიცირება (10.10.2022)

[83] სოციალური სამართლიანობის ცენტრი, პლატფორმა სალამ, სამოქალაქო ჩართულობისა და აქტივიზმის ცენტრი, საქართველოს აზერბაიჯანელთა ახალგაზრდობის კავშირი, ალგეთის ახალგაზრდული ცენტრი, მწვანე აზროვნება, ნაბიჯი მომავლისკენ

[84] იხ. მარნეულის მუნიციპალიტეტში მომუშავე 7 ორგანიზაციის ერთობლივი საბიუჯეტო ინიციატივა (28.11.2022)

მიმართ ნაკლებად კეთილმოსურნეა, ერთმნიშვნელოვნად, განსხვავებული მოპყრობა ეფუძნება რელიგიურ ნიშანს. ამასთან. ვინაიდან სადავო შემთხვევა პირდაპირ აწესებდა განსხვავებულ მოპყრობას რელიგიური ორგანიზაციის მიმართ, საკითხი შეფასებადია რელიგიის ნიშნით, პირდაპირი დისკრიმინაციის ფარგლებში". ბოლნისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება პრეცედენტულია და მნიშვნელოვანია, რადგან სასამართლომ პირდაპირ გაიზიარა მომჩივნის პოზიცია და დაადგინა, რომ *„**სახელმწიფოს ნებისმიერი ქმედება უნდა ეფუძნებოდეს სეკულარულ მიზანს, არ უნდა უწევდეს მხარდაჭერას ერთ რომელიმე რელიგიას და არ უნდა ტოვებდეს რელიგიასთან გადაჭარბებული** აფილაციის **„შთაბეჭდილებას."***

მიუხედავად ამ გადაწყვეტილებისა, სოციალური სამართლიანობის ცენტრის ინფორმაციით, მარნეულის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი კვლავ ითვალისწინებს იდენტურ ჩანაწერს[85]. მოგვიანებით, 2022 წლის 8 დეკემბერს, ამავე საკითხზე გადაწყვეტილება მიიღო თბილისის სააპელაციო სასამართლომ, რომელმაც ბოლნისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმა. სააპელაციო სასამართლომ არა მხოლოდ დაჩქარებულ ვადაში განიხილა მოცულობითი და საკმაოდ მნიშვნელოვანი დავა, არამედ მომხსენებელმა მოსამართლემ გამოავლინა ნეგატიური გამოკიდებულება მოსარჩელეებისადმი. სოციალური სამართლიანობის ცენტრის ცნობით, *„მოსამართლე, არაერთხელ ჩაეკითხა ეთნიკურად აზერბაიჯანელ, საქართველოს მოქალაქეს, მოსარჩელე სამირა ბაირამოვას, იცოდა თუ არა მან, როგორ არის რეგულირებული რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების საკითხი აზერბაიჯანში და ეძლევათ თუ არა ქრისტიანებს რამე სახის დაფინანსება სახელმწიფოსგან"[86].*

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ევროპის საბჭოს კვლევის მიხედვით, საზოგადოებაში მრავალფეროვნების მიმართ დამოკიდებულებები ბევრად დადებითი გახდა. კონკრეტულად რელიგიური უმცირესობების მიმართ,

---

[85] იხ. სოციალური სამართლიანობის ცენტრის განცხადება, *მარნეულის საკრებულომ პატივი უნდა სცეს სასამართლო გადაწყვეტილებას და დაიცვას რელიგიური თანასწორობისა და სეკულარიზმის პრინციპები* (02.12.2022)

[86] იხ. სოციალური სამართლიანობის ცენტრის განცხადება, თბილისის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც მარნეულის ბიუჯეტიდან საქართველოს საპატრიარქოს დაფინანსების დისკრიმინაციულობას ადგენდა (12.12.2022)

ევროპის საბჭოს ინფორმაციით, დადებითი დამოკიდებულება 2018 წელს 46% იყო, რაც 2021 წელს - 60%-მდე გაიზარდა[87].

- **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა**

2022 წელს უფრო მეტად გამოიკვეთა გადაწყვეტილების მიღების პროცესში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ჩართულობასთან დაკავშირებული პრობლემები. 2022 წლის 3 დეკემბერს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საერთაშორისო დღეს, საქართველოს სახალხო დამცველმა განცხადება გაავრცელა და ვრცლად მიმოიხილა ის პრობლემები, რაც შშმ პირთა ყოველდღიურობის ნაწილია. მათ შორის, სახალხო დამცველმა ხაზი გაუსვა შშმ პირთა მიმართ სახელმწიფოს მხრიდან ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების დეფიციტს; ფიზიკური გარემოს, ინფორმაციის, კომუნიკაციის საშუალებებისა და სხვადასხვა მომსახურების მისაწვდომობის საკითხს; განათლებასა და დასაქმებასთან დაკავშირებულ პრობლემებს[88].

შშმ პირთა ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში უმნიშვნელოვანესია[89]. საქართველოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ქსელის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ 2021 წელს საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა და დაამტკიცა დადგენილება - შშმ პირთა უფლების კონვენციის იმპლემენტაციის უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომიტეტის შექმნის შესახებ, კომიტეტის სტრუქტურის, შემადგენლობისა და მასში შშმ პირთა მონაწილეობის მექანიზმების შემუშავებისას, უგულვებელყოფილი იყო შშმ პირთა მოსაზრებები და რეკომენდაციები, ამასთანავე, არ იყო გათვალისწინებული შშმ პირთა კომიტეტის რეკომენდაციები[90].

შეზღუდული შესაძლებლოების მქონე პირთა ჩართულობასთან დაკავშირებულ გამოწვევებს აღნიშნავს საქართველოს სახალხო დამცველიც, რომელიც მოუწოდებს სახელმწიფოს, მიიღოს ეფექტური ზომები შშმ პირთა უფლებების სათანადოდ დაცვის, გადაწყეტილების მიღების პროცესში მათი

---

[87] ევროპის საბჭო, *სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, სიძულვილის ენა და დისკრიმინაცია საქართველოში: ცოდნა და დამოკიდებულება* (2022) გვ. 20.

[88] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით (03.12.2022)

[89] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია (2006) მუხლი 4 (3)

[90] იხ. საქართველოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ქსელი მთავრობას მიმართავს და პრემიერთან შეხვედრას ითხოვს (03.12.2022)

ჩართულობისა და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების უზრუნველსაყოფად[91].

- LGBTQI+ ადამიანთა უფლებრივი მდგომარეობა

LGBTQI+ თემის უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში უკეთესობისკენ არ შეცვლილა. თემის წარმომადგენლები საზოგადოების მხრიდან კვლავ დისკრიმინაციის მსხვერპლნი არიან. საზოგადოებრივი სტიგმა უარყოფითად აისახება მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე, რაც სხვადასხვა ასპექტში, მათ შორის - დასაქმების კუთხითაც ვლინდება.

ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის მიერ 2016 და 2021 წლებში ჩატარებული კვლევის შედეგების შედარება აჩვენებს, რომ ჰომო/ბი/ტრანსფობიის ინდექსები კლების ტენდენციას ამჟღავნებს. მნიშვნელოვნადაა შემცირებული იმ რესპონდენტების წილი, ვინც LGBTQI+ ადამიანების მიმართ ზიზღს განიცდის, ურთიერთობებს გარყვნილებად აღიქვამს ან მორალურად განიკითხავს ასეთ ადამიანებს[92].

2022 წლის 17 მაისს დიპლომატიურმა კორპუსმა, ასევე, მოუწოდა საქართველოს სახელმწიფო, პოლიტიკურ, სამოქალაქო და რელიგიურ ლიდერებს, თავიანთი პასუხისმგებლობის ფარგლებში, არ დაიშურონ ძალისხმევა დისკრიმინაციის, სტიგმატიზაციისა და ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად, მათ შორის პატივისცემასა და თანაგრძნობაზე დაფუძნებული საჯარო გამოსვლებისა და LGBTQI+ თემებთან კონსტრუქციული თანამშრომლობის გზით, ყველაზე საჭირბოროტო პრობლემების გადასაწყვეტად[93].

2022 წლის 1 დეკემბერს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გენდერის სამართლებრივ აღიარებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება გამოაქვეყნა[94]. სამმა ტრანსგენდერმა კაცმა სტრასბურგის სასამართლოს მიმართა, რადგან მათ ვერ შეძლეს საქართველოში საკუთარი გენდერის სამართლებრივი აღიარებისთვის მიეღწიათ და პირადობის

---

[91] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით (03.12.2022)

[92] ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG), ეკატერინე აღდგომელაშვილი, ნატალია მჭედლიშვილი, თამარ ლაფერაძე, *წინარწმენიდან თანასწორობამდე. Vol.2 საზოგადოების ცოდნის, ინფორმირებულობისა და დამოკიდებულების კვლევა ლგბტ(ქ)ი თემისა და მათი უფლებრივი* (2022) გვ. 17

[93] იხ. ერთობლივი განცხადება, აუცილებელია გადამწყვეტი ქმედება საქართველოში ლგბტქი+ პირთა უფლებების დასაცავად (16.05.2022)

[94] *A.D. and Others v. Georgia*, nos. 57864/17, 79087/17 and 55353/19, (ECtHR, 1 December 2022)

დამადასტურებელ დოკუმენტებში სქესის შესახებ ჩანაწერი მათი გენდერული იდენტობის შესაბამისად შეეცვალათ[95]. აქედან გამომდინარე, განმცხადებლები არაერთხელ ჩავარდნილან არასამართლიან მდგომარეობაში, მაგალითად, როდესაც ბევრი ხალხის წინაშე, მესაზღვრეების თვალწინ უხდებოდათ საკუთარი იდენტობის მტკიცება[96].

სტრასბურგის სასამართლომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის - პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლების - დარღვევა დაადგინა[97]. ევროპულმა სასამართლომ გაუსვა ხაზი, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი სახელმწიფოს ავალდებულებს, უზრუნველყოს სწრაფი, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი პროცედურები, რითაც შესაძლებელი იქნება რეგისტრირებული სქესის მარკერის შეცვლა[98].

- **იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა უფლებები**

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებიდან დევნილ მოსახლეობას კვლავ არ ეძლევა საკუთარ სახლებში დაბრუნების შესაძლებლობა. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს საქართველოს კოალიციის 2019 წელს გამოქვეყნებული სპეციალური ანგარიში - „ათი წელი აგვისტოს ომიდან: დაზარალებულთა მდგომარეობა საქართველოში“ დეტალურად ეხმიანება იმ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს, რის წინაშეც დევნილები 2022 წელსაც დგანან. კერძოდ, დევნილთა უმეტესობა ისევ სახელმწიფოს ან/და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ აშენებულ კოტეჯებში ცხოვრობს, სადაც იკვეთება ისეთი პრობლემები, როგორიცაა: სინესტე, ბზარები, ხარვეზიანი გადახურვა, ზედმეტი სითბო და სიცივე. პრობლემურია დევნილთა ხელმისაწვდომობა ჯანდაცვაზეც, რაც გამოიხატება დევნილთა ჩასახლების ადგილებში სამედიცინო პუნქტების ან/და აფთიაქების ნაკლებობაში.

2022 წლის იანვარში აფხაზეთიდან დევნილი 52 წლის კაცი თბილისში მდებარე ყოფილი სანატორიუმის „ქართლის“ შენობიდან პროტესტის ნიშნად გადმოხტა და გარდაიცვალა[99]. მან პროტესტის ამ უკიდურეს ფორმას სანატორიუმში მცხოვრებთათვის ახალი საცხოვრებლის გამოყოფის

---

[95] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციცია: „ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გენდერის სამართლებრივი აღიარების საქმეებზე დარღვევა დაადგინა“ (01.12.2022)

[96] იხ. რადიო თავისუფლების სტატია (03.12.2019)

[97] *A.D. and Others v. Georgia*, nos. 57864/17, 79087/17 and 55353/19, (ECtHR, 1 December 2022), para. 76

[98] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციცია: „ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გენდერის სამართლებრივი აღიარების საქმეებზე დარღვევა დაადგინა“ (01.12.2022)

[99] იხ. Civil.ge-ის სტატია (17.01.2022)

გაჭიანურების გამო მიმართა. ტრაგიკულ შემთხვევას გამოეხმარა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და აღნიშნა, რომ სამინისტროს გადაწყვეტილებით, „ქართლში“ მცხოვრები დევნილები ახალ საცხოვრებელ ფართებს 2022 წელს უპირობოდ მიიღებენ[100]. ვითარებას ადგილზე გაეცნო საქართველოს სახალხო დამცველიც, რომელმაც მზაობა გამოთქვა, შეესრულებინა მედიატორის ფუნქცია სამინისტროსა და დევნილებს შორის[101].

9. პენიტენციური დაწესებულებები

წინა წლების მსგავსად კვლავ პრობლემურია კრიმინალური სუბკულტურისა და არაფორმალური მმართველობის უკანონო პრაქტიკა[102]. პენიტენციურ დაწესებულებებში არაფორმალური მმართველობის არსებობა ნაცნობია ადამიანის უფლებათა ცენტრისთვისაც. ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტები აქტიურად მუშაობენ პატიმართა უფლებებზე და მათ სამართლებრივ დახმარებას უწევენ. ცენტრის იურისტებთან კომუნიკაციისას, პატიმრები ე.წ. არაფორმალურ მმართველობასაც ხშირად უსვამენ ხაზს[103]. ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტების დაკვირვებით, არაფორმალური მმართველობის შედეგად, პატიმრები ადვოკატებთან კომუნიკაციისგან თავს იკავებენ.

პატიმრების შიში შეუმჩნეველი არ დარჩენილა წამების პრევენციის ევროპულ კომიტეტს (CPT), რომლის 2022 წლის 16 ივნისს გამოქვეყნებულ ვიზიტის შემდგომ ანგარიშში ვკითხულობთ, რომ ბევრ პატიმარს ეშინოდა კომიტეტის დელეგაციის წევრებთან საუბრის[104]. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი შეშფოთებული იყო იმითაც, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში გამოსახული იყო არაფორმალური მმართველობის აშკარა ნიშნები (მაგ. რვაქიმიანი ვარსკვლავი) და ზოგიერთი პატიმარი მნიშვნელოვნად

---

[100] იხ. საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს განცხადება (16.01.2022)

[101] სახალხო დამცველი სანატორიუმ ქართლში „ქართლში“ მცხოვრებ დევნილებს შეხვდა (18.01.2022)

[102] დეტალური ინფორმაციისთვის იხ, ადამიანის უფლებათა ცენტრის 2020 წლის ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ ანგარიში (2021) გვ. 35

[103] *იქვე*, გვ. 39

[104] The European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT), Report to the Georgian Government on the ad hoc visit to Georgia (2022) 11, para. 13.

კომფორტულ პირობებში იმყოფებოდა[105]. კომიტეტი თავადვე ასკვნის, რომ პრივილეგირებულ პირობებში მცხოვრები პატიმრები სავარაუდოდ პატიმართა მაღალი იერარქიის წარმომადგენლები არიან[106].

წინგადადგმული ნაბიჯია, რომ ევროპული კომიტეტის მიერ შესწავლილ პენიტენციურ დაწესებულებებში კომიტეტს არ შეუმჩნევია ციხის თანამშრომელთა მიერ პატიმართა არასათანადო მოპყრობის ფაქტები. უფრო მეტიც, დელეგაციამ აღნიშნა, რომ დაწესებულებების თანამშრომლებსა და პატიმრებს შორის ურთიერთობა ძირითადად პოზიტიური იყო[107]. სპეციალური პენიტენციური სამსახურის ცნობით, პატიმართა რეაბილიტაცია/რესოციალიზაციის ხელშეწყობისა და განმეორებითი დანაშაულის პრევენციის მიზნით, პენიტენციურ დაწესებულებებში სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამა უწყვეტ რეჟიმში ხორციელდება. კერძოდ, №15 პენიტენციურ დაწესებულებაში „ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული“ სწავლების კურსი ჩატარდა[108]. ამასთან, პენიტენციურ დაწესებულებებში ამოქმედა „ციფრული უნივერსიტეტი,“ სადაც ჩართულია სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შესაბამისი პროგრამით[109]. პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის მნიშვნელობა ხაზგასმულია წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის მიერაც[110].

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ანგარიშის განხილვის დროს, იუსტიციის მინისტრის მოადგილემ, თორნიკე ჭეიშვილმა ანგარიშში დაფიქსირებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ნაწილი რეკომენდაციებისა უკვე გათვალისწინებული და ასახულია იუსტიციის სამინისტროს 10-წლიან სტრატეგიაში[111].

---

[105] *ibid*, para. 12

[106] *ibid.*

[107] *ibid*, para. 9.

[108] სპეციალური პენიტენციური სამსახური: „№15 პენიტენციურ დაწესებულებაში მსჯავრდებულთა სარეაბილიტაციო პროგრამების მორიგი ეტაპი დასრულდა“ (10.12.2022)

[109] სპეციალური პენიტენციური სამსახური: „პენიტენციურ დაწესებულებებში „ციფრული უნივერსიტეტი“ ამოქმედდა“ (01.11.2022)

[110] The European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT), Report to the Georgian Government on the ad hoc visit to Georgia (2022) 11, para. 10.

[111] საქართველოს იუსტიციის სამინისტრო: „წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიშის განხილვა გაიმართა“ (11.07.2022)

10. ადამიანის უფლებები ოკუპირებულ ტერიტორიებზე და კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში

კვლავ მძიმეა ადამიანის უფლებათა მდგომარეობა რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოს ტერიტორიებზე. გარემოებებს ამძიმებს ისიც, რომ დაზუსტებული ინფორმაციის მოპოვება დარღვევებთან დაკავშირებით შეუძლებელია, რადგან რუსეთის ეფექტურ კონტროლს დაქვემდებარებულ საქართველოს ტერიტორიებს კრემლის რეჟიმი მკაცრად აკონტროლებს. 2022 წლის 11 ივლისს ოკუპირებულ აფხაზეთში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია გავრცელებულმა ინფორმაციამ ბიჭვინთა-მიუსერის აღკვეთილში სახელმწიფო აგარაკების კომპლექსის რუსეთზე გასხვისების შესახებ[112]. საკითხს ეუთოც გამოეხმაურა და დაგმო რუსეთის მიერ საქართველოში, აფხაზეთში, გაგრის რაიონში 180 ჰექტარი მიწის მიტაცება[113].

მნიშვნელოვანია, რომ გრძელდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები აბიტურიენტებისთვის უნივერსიტეტებში ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩაირიცხვა და სახელმწიფოს მხრიდან მათ სწავლის საფასურის გრანტის მაქსიმალური ოდენობით დაფინანსება[114], რაც ხელს უწყობს, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ახალგაზრდების განათლების უფლების რეალიზაციას.

2022 წელს ადამიანის უფლებათა ცენტრმა ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ ანგარიში გამოაქვეყნა. ანგარიში ეყრდნობა ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ 2021 და 2022 წლებში განხორციელებულ მონიტორინგის ვიზიტების შედეგებს. ანგარიშის თანახმად, საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში, ოკუპაციით გამოწვეულ უსაფრთხოების პრობლემებთან ერთად, ადგილობრივი მოსახლეობა მძიმე სოციალურ-ეკონომიკური სირთულეების წინაშე დგას. ამ სოფლებში მოსახლეობისთვის ძირითადი შემოსავლის წყარო მიწათმოქმედება და მეცხოველეობაა. მოსახლეობას ორივე მიმართულებით მნიშვნელოვანი პრობლემები ექმნება. რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულმა მცოცავმა ოკუპაციამ შეზღუდა მათი წვდომა გარშემო არსებულ ბუნებრივ რესურსებზე, სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებზე, ტყესა და საძოვრებზე. მათი წვდომის ქვეშ

---

[112] იხ. რადიო თავისუფლების სტატია (22.07.2022)

[113] OSCE Group of Friends of Georgia: joint statement to the OSCE Ministerial Council 2022 (02.12.2022)

[114] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო: „ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები აბიტურიენტების უნივერსიტეტებში ჩარიცხვა გრძელდება“ (30.08.2022)

დარჩენილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მცირე ნაწილს კი მოსახლეობა ვერ იყენებს შესაბამისად, გაუმართავი სარწყავი წყლის სისტემის გამო. ანგარიშში წარმოდგენილი სოფლების უმრავლესობაში, სარწყავი წყლის სისტემა სრულფასოვნად არ ფუნქციონირებს. რამდენიმე სოფელს კი საერთოდ არ მიეწოდება სასმელი წყალი.

საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში მწვავე პრობლემას წარმოადგენს ასევე ადეკვატურ ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა. სოფლების მცირე ნაწილში განთავსებულ ამბულატორიებს ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ. სოფლების უმრავლესობაში არ არის განთავსებული აფთიაქი. გაუმართავია საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემა. რიგ სოფლებში საზოგადოებრივი ტრანსპორტი საერთოდ არ ფუნქციონირებს. მოუწესრიგებელია შიდა საუბნო და სოფლებს შორის დამაკავშირებელი გზები. მსგავსი პრობლემები განსაკუთრებით საგანგაშოა ხანდაზმული პირებისთვის, რომლებსაც უჭირთ გადაადგილება და ხშირად საჭიროებენ სამედიცინო დახმარებას. აღსანიშნია, რომ ამ სოფლებში მუდმივად მცხოვრებთა უმეტეს ნაწილს სწორედ ხანდაზმული პირები წარმოადგენენ. საარსებო წყაროებისა და განვითარების შესაძლებლობების ნაკლებობის გამო, სოფლებს ტოვებენ ახალგაზრდები.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში არსებული სავალალო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამოსასწორებლად, აუცილებელია, ადგილობრივი თვითმმართველობისა და ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებმა იმუშაონ უფრო კოორდინირებულად და პროაქტიულად, იქონიონ მჭიდრო კავშირი ადგილობრივ მოსახლეობასთან და აწარმოონ მათთან აქტიური კომუნიკაცია. მცოცავი ოკუპაციის საფრთხეების გათვალისწინებით, ამ სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის მდგომარეობა განსაკუთრებით პრიორიტეტული უნდა იყოს. თუმცა, როგორც რეალობა აჩვენებს, ეს მოსახლეობა ყველაზე მეტად არის დავიწყებული და მათ პრობლემებს ყველაზე ნაკლები ყურადღება ექცევა[115].

[115] იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის ანგარიში, ნინო ცაგარეიშვილი, ალექსი მერაბაშვილი, *ადამიანის უფლებათა მდგომარეობა ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში* (2022)

11. მედიაგარემო – გამოხატვის თავისუფლება

2022 წელსაც, მედია საკმაოდ პლურალისტული, მაგრამ ამავდროულად პოლარიზებული იყო. კვლავ გამოწვევად რჩება სახელმწიფოს მხრიდან მედიის საქმიანობის კონტროლი და, მეორე მხრივ, მედიის მხრიდან ეთიკური მედიის სტანდარტების დაუცველობა.

2022 წლის სექტემბერში „მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონში“ ცვლილებები დაინიცირდა. კანონპროექტის ავტორების მოსაზრებით, ცვლილებები აუცილებელია ევროკავშირის საკანონმდებლო სივრცესთან ჰარმონიზაციის მიზნით. მეორე მხრივ, მედია შიშობს, რომ ცენზურის საგანი ხდება. ცვლილებების შედეგად კანონში გაჩნდება ახალი და ბუნდოვანი ცნებები, როგორიცაა, მაგალითად, „ქვეცნობიერზე ზემოქმედების დაუშვებლობა“. დამატებით კანონში შედის „ჯეროვანი სიზუსტის“ განსაზღვრებაც, კერძოდ: „მაუწყებლები ვალდებული არიან, მიიღონ ყველა ზომა პროგრამებში მოყვანილი ფაქტების ჯეროვანი სიზუსტის უზრუნველსაყოფად და დროულად შეასწორონ შეცდომები“[116]. საზოგადოებრივი ორგანიზაციები თვლიან, რომ კომისიის მხრიდან შინაარსში ჩარევა ქმნის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის რისკებს. შესაბამისად, პარლამენტმა კანონპროექტი შინაარსობრივ რეგულირებასთან დაკავშირებული საკითხების გარეშე უნდა მიიღოს. ამ საკითხებზე კი შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც იმსჯელებს ისეთ ეფექტიან მექანიზმებზე, რომლებიც საფრთხეს არ შეუქმნის გამოხატვის თავისუფლებას[117].

2022 წლის 23 აგვისტოს კომუნიკაციების კომისიამ დააკმაყოფილა კრიტიკული ტელეკომპანიების – „მთავარი არხის“, „ფორმულასა“ და „ტელეკომპანია პირველის“ წინააღმდეგ პარტია „ქართული ოცნების“ საჩივარი და კამპანია „შინ ევროპისკენ“ კლიპის ეთერში განთავსების გამო, „მთავარი არხი“ 118 688.67 ლარით (წლიური შემოსავლის 1%) დააჯარიმა, დანარჩენ ორ ტელევიზიას კი – წერილობითი გაფრთხილება გამოუცხადა[118].

2022 წლის 5 ივნისს „ტვ პირველის“ ჟურნალისტმა, მაია მამულაშვილმა განაცხადა, რომ ქ. თბილისის მერმა, კახა კალაძემ მხოლოდ ერთი ტენდერიდან 60 მილიონი ლარი მიიღო. რამდენიმე დღის შემდეგ მერმა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს. სასამართლომ გაიზიარა მომჩივნის

[116] იხ. რადიო თავისუფლების სტატია (14.09.2022)
[117] იხ. Netgazeti-ის სტატია (16.09.2022)
[118] იხ. Civil Georgia-ს სტატია (23.08.2022)

პოზიცია და 2022 წლის 30 ნოემბერს „ტვ პირველის“ ჟურნალისტს კახა კალაძისთვის 15 000 ლარის გადახდა და ბოდიშის მოხდა დააკისრა[119]. „ტვ პირველის“ საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელის, ნოდარ მელაძის თქმით, *იმის გამო რომ, კახი კალაძეს მაია მამულაშვილის დასმული კითხვა არ მოეწონა, სასამართლომ ტვ „პირველს“ და მაია მამულაშვილს დააკისრა 15 ათასი ლარის გადახდა. „ტვ პირველი' ამ თანხას ვერ გადაიხდის, რადგან ანგარიშებს ადევს ინკასო*[120].

12. ფარული მიყურადებები

ქვეყანაში კვლავ დიდი გამოწვევაა უკანონო მოსმენები. პრობლემურია, როგორც თავად მოსმენის ფაქტები, ასევე, გამოძიებასთან დაკავშირებული საკითხები. ადამიანის უფლებათა ცენტრი სამართლებრივ დახმარებას უწევს ჟურნალისტებს - ანა ჭეიშვილსა და ხვიჩა ვაშაყმაძეს, ასევე, ადვოკატებს - გიორგი ფანცულაიას, მია ზოიძესა და მიხეილ რამიშვილს, რომლებიც 2021 წლის 13 სექტემბერს სავარაუდოდ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან გავრცელებულ საიდუმლო ფაილებში არიან ნახსენები. ადვოკატები გიორგი ფანცულაია, მია ზოიძე და მიხეილ რამიშვილი დაკავშირებულნი არიან ისეთ გახმაურებულ საქმეებთან, როგორიცაა ე.წ. ციანიდის საქმე, თამარ ბაჩალიაშვილის საქმე და ა.შ. ცენტრის იურისტებს, ერთი მხრივ, დიდი ძალისხმევა დასჭირდათ მათი დაცვის ქვეშ მყოფთათვის დაზარალებულის სტატუსის მისანიჭებლად, მეორე მხრივ, კი მასალების გაცნობა მათ მხოლოდ ადგილზე შეუძლიათ, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას[121].

გაუარესდა ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტები ფარული საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში. უფრო კონკრეტულად, გაფართოვდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედების არეალი და სუბიექტისთვის შეტყობინების ვადები. მაგალითისთვის, შეგვიძლია, გამოვყოთ, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებების გავრცელება შესაძლებელი იქნება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 226-ე მუხლთან მიმართებითაც. გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში

[119] იხ. Ipress.ge-ის სტატია (30.11.2022)
[120] იხ. Dailyinfo.ge-ის სტატია (30.11.2022)
[121] იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის კვლევა: სალომე წიკლაური, *საკანონმდებლო ცვლილებები ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით - კანონმდებლობის და პრაქტიკის სამართლებრივი ანალიზი* (2022)

შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით გარკვეული გამოწვევები არსებობს. მათ შორისაა სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლის მიზეზით შეკრების მონაწილეთა დაკავების მავნე პრაქტიკა, რაც ხშირად არამართლზომიერია[122]. სისხლის სამართლის კოდექსის 226-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის (ჯგუფური მოქმედების ორგანიზებას, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს ან მასში აქტიური მონაწილეობა) ერთ-ერთ საფუძვლად სწორედ ხელისუფლების წარმომადგენლის (პოლიციის, პროკურატურის თანამშრომლის და ა.შ.) კანონიერი მოთხოვნისადმი აშკარა დაუმორჩილებლობა ითვლება[123]. აშკარა დაუმორჩილებლობა შესაძლოა, გამოიხატოს ორგანიზატორ(ებ)ის მხრიდან მონაწილეების მოწოდებაში, არ შეასრულონ ეს ბრძანება ან/და არ დატოვონ დაკავებული ადგილი[124].

ამ ცვლილებებს საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა ვეტო დაადო და მოტივირებული შენიშვნებით კანონპროექტი საქართველოს პარლამენტს დაუბრუნა[125]. საქართველოს პრეზიდენტის დამოკიდებულება გაიზიარა ვენეციის კომისიამაც, რომელმაც უარყოფითად შეაფასა, როგორც კანონპროექტის მომზადების პროცესი, ასევე - შინაარსი[126]. მითითებულ ცვლილებებს გამოეხმაურა გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტიც, რომლის შემაჯამებელ დასკვნაში ვკითხულობთ, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დასაცავად საქართველოში არ არსებობს დაცვის ეფექტიანი გარანტიები და კომიტეტი წუხს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსთან მიმართებით განხორციელებულ ცვლილებებზე[127]. მიუხედავად ეროვნული[128], თუ საერთაშორისო აქტორების კრიტიკისა, 2022 წლის 6 სექტემბერს პარლამენტმა პრეზიდენტის ვეტო დაძლია[129].

---

[122] ადამიანის უფლებათა ცენტრის 2021 წლის ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ ანგარიში (2022) გვ. 21.

[123] მზია ლეკვეიშვილი, ნონა თოდუა, გოჩა მამულაშვილი, *სისხლის სამართლის კერძო ნაწილი* (წიგნი I) მეოთხე გამოცემა, „მერიდიანი“ (2011) გვ. 545.

[124] *იქვე*, გვ. 546.

[125] საქართველოს პრეზიდენტის წარდგინება - მოტივირებული შენიშვნები (23.06.2022),

[126] European Commission for Democracy Through Law (Venice Commission) – Urgent Opinion on the Draft Law on the Amendments to the Criminal Procedure Code Adopted by the Parliament of Georgia on June 7 2022, CDL-PI(2022)028, Opinion no. 1092/2022 (2022)

[127] United Nations, Human Rights Committee, Concluding observations on the fifth periodic report of Georgia, CCPR/C/GEO/CO/5 (13 September 2022) para. 39.

[128] იხ. სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება (09.06.2022)

[129] საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, N1722-IXმს-Xმპ (06.09.2022)

იმ ფონზე, როცა საქართველოში რამდენჯერმე გამოვლინდა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის მასშტაბური ფაქტები, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედებები კიდევ უფრო მეტად აფართოებს ამგვარი მოქმედებების არეალს, რასაც ფარული საგამოძიებო მოქმედებების კანონიერების შემოწმების შესაძლებლობა მინიმუმამდე დაყავს. შესაბამისად, რაკი 2014 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რედაქციის მოქმედების დროსაც მიმდინარეობდა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევა, 2022 წლის ცვლილებები უკვე უფლებას აძლევს საგამოძიებო ორგანოებს, კანონის ფარგლებში განახორციელონ პირადი ცხოვრების უფლების არამართლზომიერი შეზღუდვა, რაც მათი პასუხისმგებლობის დადგომის შანსებსაც ამცირებს.

13. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საქმეები

- **ნიკა გვარამიას საქმე**

2022 წლის 16 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლომ ტელეკომპანია „მთავარი არხის“ გენერალურ დირექტორს, ნიკა გვარამიას გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანა „რუსთავი 2-ის“ დირექტორობისას, კომპანიისთვის ზიანის მიყენების საქმეზე. მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძემ ნიკა გვარამია დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რაც გულისხმობს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას და საბოლოო სასჯელის სახედ განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლითა და 6 თვის ვადით[130]. 2022 წლის 2 ნოემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლომ ნიკა გვარამიას, ე.წ. რეკლამის გაყიდვის ეპიზოდში სასჯელი დაუმძიმა[131].

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის შედეგად, საქმეში არაერთი სამართლებრივი პრობლემა გამოვლინდა. მაგალითად, საქმის მასალებიდან არ ჩანს, პროკურატურამ იმსჯელა თუ არა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული სამართლებრივი გზების გამოყენების შესახებ, ასევე, პროკურატურამ ყურადღება არ მიაქცია იმ ფაქტს, რომ გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებები შეთანხმებული და მოწონებული იყო

[130] იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის ანგარიში, სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგი შემაჯამებელი ანგარიში (2022 წ. აპრილი-ივნისი) გვ. 16

[131] იხ. სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების განცხადება, სააპელაციო სასამართლომ ნიკა გვარამია პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეზე პატიმრობაში დატოვა (02.11.2022)

პარტნიორებთან, აქციონერებთან და დირექტორის გონივრული მოსაზრებით, მოკლე ან გრძელვადიანი რისკების ანალიზის შედეგად, იგი ემსახურებოდა კორპორაციის საუკეთესო ინტერესებს, რაც ასევე შეთანხმებული იყო ამ სუბიექტებთან. ყოველივე აღნიშნული ადამიანის უფლებათა ცენტრს უფლებას აძლევს, ნიკა გვარამიას წინააღმდეგ მიმდინარე სასამართლო პროცესები პოლიტიკურად მოტივირებულად შეაფასოს[132].

ნიკა გვარამიას მიმართ მიმდინარე პროცესებს გამოეხმაურა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოც. საელჩოს განცხადებით, შერჩევითი გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შემაშფოთებელი პრაქტიკა, მიმართული ამჟამინდელი მთავრობის ოპოზიციაში მყოფი პირების მიმართ, ძირს უთხრის საზოგადოების ნდობას პოლიციის, პროკურატურის, სასამართლოებისა და თვით მთავრობის მიმართ[133]“.

ნიკა გვარამიას საქმე შეისწავლა საქართველოს სახალხო დამცველმაც, რომლის მიხედვითაც, ნიკა გვარამიას სისხლის სამართლის საქმეზე ირღვევა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-18 მუხლი (ადამიანის უფლებების შეზღუდვა არაკონვენციური/პოლიტიკური მოტივით). სახალხო დამცველის ინფორმაციით, ნიკა გვარამიას მიმართ გამოტანილი სააპელაციო განაჩენი არ არის დასაბუთებული, წარმოადგენს კორპორატიული ქმედებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შემთხვევას და საქმეში არსებული პოლიტიკური მოტივი გადაწონის მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესს“[134].

- **კარტოგრაფების საქმე**

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორები აკვირდებიან საგარეო საქმეთა სამინისტროს მეზობელი ქვეყნების დეპარტამენტის, სასაზღვრო ურთიერთობათა სამსახურის ყოფილი უფროსის, ივერი მელაშვილისა და შსს-ს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ყოფილი მთავარი ინსპექტორის, ნატალია ილიჩოვას სისხლის სამართლის საქმეს. მათ ბრალი წარდგენილი აქვთ სსკ-ის 308-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც გულისხმობს საქართველოს საწინააღმდეგო მოქმედებას, რომელიც

---

[132] იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის ანგარიში, სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგი შემაჯამებელი ანგარიში (2022 წ. აპრილი-ივნისი) გვ. 17

[133] იხ. აშშ-ის საელჩოს განცხადება გვარამიას, იაშვილისა და დამენიას საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ (16.05.2022)

[134] სახალხო დამცველის შეფასებით ნიკა გვარამიას სისხლის სამართლის საქმეში პოლიტიკური მოტივაცია დასტურდება (07.12.2022)

მიმართულია უცხო ქვეყნისთვის საქართველოს მთელი ტერიტორიის ან მისი ნაწილის გადაცემისაკენ ან/და საქართველოს ტერიტორიიდან მისი ნაწილის გამოყოფისაკენ[135]. თბილისის საქალაქო სასამართლომ 2021 წლის 28 იანვარს გამართულ წინასასამართლო სხდომაზე, ივერი მელაშვილი და ნატალია ილიჩოვა 20 000-20 000 ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა. 2022 წელს გრძელდება სასამართლო სხდომები. იკითხებიან მოწმეები.

- **გოგაშვილის საქმე**

2022 წლის 16 ივლისს საკუთარ სახლში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ყოფილი მოადგილე, იოსებ გოგაშვილი დააკავეს[136]. მას ბრალი სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტების, სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვების, შენახვის, გავრცელებისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა/შენახვის ფაქტზე წარედგინა[137]. მოგვიანებით, სუს-ის უფროსის ყოფილ მოადგილეს ბრალი დაუმძიმდა და მას დამატებით სახელმწიფო საიდუმლოების განზრახ გახმაურებასა და პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფასაც ედავებიან[138].

მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი მართლმსაჯულების ფარგლებში აუცილებელია, დადგეს ყველა იმ პირის პასუხისმგებლობა, ვინც დანაშაული ჩაიდინა, მაგრამ, მეორე მხრივ, საკითხავია, მოქმედებდა თუ არა იოსებ გოგაშვილი დამოუკიდებლად, ასევე, როგორ მოახერხა მან მასალის შეგროვება იმ სისტემის გარეშე, რომელსაც იგი წარმოადგენდა. ადამიანის უფლებათა ცენტრი მიიჩნევს, რომ იოსებ გოგაშვილის სასამართლო პროცესი უნდა წარიმართოს ყოველგვარი პოლიტიკური მიკერძოების გარეშე, რათა დაცული იქნეს იოსებ გოგაშვილის სამართლიანი სასამართლოს უფლება. ის ფაქტი კი, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ყოფილ მოადგილეს ედავებიან პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვებას, შენახვას, გავრცელებას და პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფას, საზოგადოებაში ქმნის დაუცველობის მასშტაბურ განცდას.

---

[135] იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის ანგარიში, სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგი შემაჯამებელი ანგარიში (2022 წ. აპრილი-ივნისი) გვ. 16

[136] იხ. რადიო თავისუფლების სტატია (19.07.2022)

[137] საქართველოს პროკურატურის განცხადება - პროკურატურამ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ყოფილ მოადგილეს იოსებ გოგაშვილს ბრალდება წარუდგინა (17.07.2022)

[138] იხ. ფორმულას ინფორმაცია (11.10.2022)

- **მამალაძე საქართველოს წინააღმდეგ**

2022 წლის 3 ნოემბერს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დეკანოზ გიორგი მამალაძის საქმეზე გადაწყვეტილება გამოაქვეყნა. დეკანოზი გიორგი მამალაძე 2017 წლის 10 თებერვალს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დააკავეს. „ციანიდის საქმეში" მკვლელობის მომზადების მცდელობისა და იარაღის უკანონო შენახვა-ტარებისთვის მას 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. სტრასბურგის სასამართლომ გიორგი მამალაძის მიმართ სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა დაადგინა.

ადამიანის უფლებათა ცენტრი ეროვნულ დონეზე იცავდა დეკანოზ გიორგი მამალაძის ინტერესებს და აქტიურად ახორციელებდა სასამართლო პროცესის მონიტორინგს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სწორედ ის დაარღვევები დაადგინა, რაზეც ადამიანის უფლებათა ცენტრმა არაერთი განცხადება გაავრცელა. კერძოდ, ცენტრი მიიჩნევდა, რომ სასამართლო სხდომის სრულად დახურვა არ ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს და მოუწოდებდა სასამართლოს პროცესის გახსნისკენ ან საჭიროებისამებრ ნაწილობრივ დახურვისკენ[139]. პრობლემური იყო გიორგი მამალაძისა და მისი ადვოკატებისთვის გაუთქმელობის ვალდებულება იმ ფონზე, რომ ბრალდების მხარე და მოწმეები აქტიურად ავრცელებდნენ საქმის მასალებს მედიასთან[140]. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სასამართლო სხდომის სრულად დახურვა დაუსაბუთებლად მიიჩნია[141]. ამასთან, სტრასბურგის სასამართლომ გაიზიარა მომჩივნის პოზიცია, რომ ბრალდების მხარის მიერ გავრცელებული ინფორმაცია გასცდა ლეგიტიმურ მიზნებს და შექმნა საზოგადოებაში დეკანოზ გიორგი მამალაძის ბრალეულობასთან დაკავშირებით წინასწარი განწყობა[142].

- **სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გამოძიება**

2022 წლის 2 მარტს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (ICC) პროკურორმა განაცხადა, რომ მისმა ოფისმა რომის სტატუტის 39

---

[139] იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება, დეკანოზ გიორგი მამალაძის დახურული სასამართლო პროცესი უნდა გაიხსნას (11.07.2017)

[140] იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება, მთავარმა პროკურატურამ დაკავებული დეკანოზი და მისი ადვოკატი გაუთქმელობის ვალდებულებისაგან უნდა გაათავისუფლოს (16.02.2017)

[141] Case of Mamaladze v. Georgia, The European Court of Human Rights, no. 9487/19 (03.11.2022), para. 99

[142] *ibid*, paras. 110-115

ხელშემკვრელი სახელმწიფოსგან მიიღო მიმართვა, რათა დაიწყოს გამოძიება უკრაინის საკითხზე. პროკურორის ინფორმაციით, გამოძიების ფარგლები მოიცავს 2013 წლის 21 ნოემბრიდან ნებისმიერი პირის მიერ უკრაინის ტერიტორიის ნებისმიერ ნაწილში ჩადენილ შემდეგ დანაშაულებს: ომის დანაშაული, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული ან გენოციდი[143]. **39 სახელმწიფოს შორის ერთ-ერთი საქართველოა. ადამიანის უფლებათა ცენტრი მიესალმება საქართველოს სახელმწიფოს ნებისმიერ ნაბიჯს, რომელიც ემსახურება საერთაშორისო სამართლის სტანდარტების მხარდაჭერას და დაცვას.**

ჰააგის სასამართლოსთვის მიმართვა მნიშვნელოვანი ნაბიჯია, რადგან სწორედ ეს სასამართლო განიხილავს 2008 წლის აგვისტოს ომის საქმეს. ICC-ის წინა-სასამართლო პალატამ პროკურორის 2022 წლის 10 მარტის მიმართვის საფუძველზე, დაასკვნა, რომ მიხაილ მინძაევი, ჰამლეტ გუჩმაზოვი და დავით სანაკოევი პასუხისმგებელნი არიან 2008 წლის აგვისტოს ომის პერიოდში ჩადენილ ომის დანაშაულზე და მათ მიმართ დაკავების ორდერები გასცა[144]. ადამიანის უფლებათა ცენტრი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთვის საქართველოს და საერთაშორისო კოალიციის წევრია და აქტიურად არის ჩართული მიმდინარე პროცესებში. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთვის საქართველოს კოლიცია თანამშრომლობს ჰააგის სასამართლოსთან 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომთან დაკავშირებით.

2022 წლის 16 დეკემბერს, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორის, კარიმ ხანის განცხადებით, 2008 წლის აგვისტოს ომის საქმეზე გამოძიების ფაზა დასრულდა. სასამართლო გამოძიებას გააგრძელებს მხოლოდ იმ მტკიცებულებების მოსაპოვებლად, რაც გახდება საჭირო მიხაილ მინძაევის, ჰამლეტ გუჩმაზოვისა და დავით სანაკოევის მიმართ. ჰააგის სასამართლოს პროკურორის ინფორმაციით, გამოძიებისას, ასევე, გამოიკვეთა რუსეთის ფედერაციის შეირაღებული ძალების გენერალ-მაიორისა და საჰაერო სადესანტო ძალების იმჟამინდელი მეთაურის

[143] International Criminal Court, Statement of ICC Prosecutor, Karim A.A. Khan QC, on the Situation in Ukraine: Receipt of Referrals from 39 States Parties and the Opening of an Investigation (02.03.2022)
[144] International Criminal Court, Situation in Georgia: ICC Pre-Trial Chamber delivers three arrest warrants (30.06.2022)

მოადგილის, ვიაჩესლავ ბორისოვის სავარაუდო როლი 2008 წელს ჩადენილ დანაშაულებთან მიმართებით[145].

ყოველივე ზემოაღნიშნული გულისხმობს იმას, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო აღარ გააგრძელებს 2008 წლის აგვისტოს ომში სავარაუდოდ ჩადენილ სხვა საერთაშორისო დანაშაულების გამოძიებას და შესაბამისად, დაკავების ორდერები აღარ იქნება გამოცემული სხვა პირების მიმართ.

14. საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოში ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ

2022 წლის 9 ივნისს ევროპარლამენტმა გამოაქვეყნა დოკუმენტი სახელწოდებით „ადამიანის უფლებების დარღვევა ჩინეთში, ნიკარაგუასა და საქართველოში". ევროპარლამენტმა გამოთქვა შეშფოთება საქართველოში მედიაგარემოს გაუარესების გამო და ასევე, ითხოვა ნიკა გვარამიას სასჯელის გადახედვა[146].

2022 წლის 6 სექტემბერს ბრიუსელში საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების საბჭოს მე-7 სხდომა გაიმართა. შეხვედრის შემდეგ გავრცელებულ ერთობლივ განცხადებაში[147] აღნიშნულია, რომ ასოცირების საბჭომ ხაზი გაუსვა ევროპული საბჭოს მზაობას, საქართველოს მიანიჭოს კანდიდატის სტატუსი, როგორც კი ის შეასრულებს ევროკომისიის მოსაზრებაში განსაზღვრულ პრიორიტეტებს. ამ მხრივ, ევროკავშირი მიესალმა რა საქართველოს პარლამენტში მიმდინარე სამუშაო პროცესებს, მოუწოდა მმართველ პარტიას, რომ სამოქალაქო საზოგადოებისა და საპარლამენტო ოპოზიციური ჯგუფების წარმომადგენლებთან ერთად ჩაერთოს ინკლუზიურ პროცესში. ევროკავშირმა მოუწოდა საქართველოს, ეფექტიანად უზრუნველყოს სასამართლო და პროკურატურის ორგანოების დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და ანგარიშვალდებულება და მიიღოს და განახორციელოს მართლმსაჯულების 2021 წლის შემდგომი ამბიციური რეფორმის სტრატეგია, რომელიც დაფუძნებული იქნება ფართო, ინკლუზიური და პარტიათშორისი

[145] The Prosecutor of the International Criminal Court, Karim A.A. Khan KC, announces conclusion of the investigation phase in the Situation in Georgia (16.12.2022)
[146] European Parliament, Human rights breaches in China, Nicaragua and Georgia (09.06.2022)
[147] Joint press statement following the 7th Association Council meeting between the EU and Georgia (07.09.2022)

კონსულტაციების პროცესზე, ევროპული სტანდარტებისა და ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად[148].

2022 წლის 14 დეკემბერს ევროპის პარლამენტმა კიდევ ერთი რეზოლუცია მიიღო, რათა შეეფასებინა საქართველოს მხრიდან ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. მიუხედავად იმისა, რომ რეზოლუცია, ერთი მხრივ, დადებითად აფასებს საქართველოში მიმდინარე გარკვეულ პროცესებს, მათ შორის, ევროკომისიის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების შესრულებას, რეზოლუცია პირდაპირ სთხოვს საქართველოს პრეზიდენტს, სალომე ზურაბიშვილს, გაათავისუფლოს მიხეილ სააკაშვილი და ნიკა გვარამია[149].

2022 წლის 5 და 6 ივლისს საქართველოს დელეგაციამ, იუსტიციის მინისტრის მოადგილის, ბექა ძამაშვილის ხელმძღვანელობით, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტში „სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ“ საერთაშორისო პაქტის შესრულების თაობაზე საქართველოს მე-5 პერიოდული ანგარიში წარადგინა[150]. მოგვიანებით, კი 2022 წლის 27 ივლისს გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა საქართველოს მეხუთე პერიოდულ ანგარიშთან დაკავშირებით შემაჯამებელი დასკვნა გამოაქვეყნა[151]. დასკვნაში ხაზგასმულია ისეთი საკითხები, როგორიცაა - დისკრიმინაცია და ძალადობა უმცირესობების მიმართ, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევა მიყურადებებითა და თვალთვალით და ა.შ. კომიტეტმა ყურადღება გაამახვილა მოქმედ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში არსებულ ხარვეზებზე, მათ შორის, ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფთა დაცვის სამართლებრივი გარანტიების ნაკლებობაზე[152].

ნიკა გვარამიასთან დაკავშირებულ პროცესებს საერთაშორისო ორგანიზაციები - Amnesty International და Human Rights Watch გამოემხაურნენ. აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში, Amnesty International-ის დირექტორის, მარი სტრუზერსის შეფასებით, ნიკა გვარამიას საქმე ხაზს უსვამს საქართველოში მედიის თავისუფლების შეზღუდვას და ავლენს

---

148 საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო: „2022 წლის 6 სექტემბერს, ქ. ბრიუსელში, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების საბჭოს მე-7 სხდომა გაიმართა.

149 იხ. რადიო თავისუფლების სტატია (14.12.2022)

150 საქართველოს იუსტიციის სამინისტრო: „საქართველოს დელეგაციამ გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტში განხორციელებული რეფორმების შესახებ ანგარიში წარადგინა“ (06.07.2022)

151 United Nations, Human Rights Committee, Concluding observations on the fifth periodic report of Georgia, CCPR/C/GEO/CO/5 (13 September 2022)

152 *ibid*, para. 29

ხელისუფლების მზარდ გავლენას სასამართლოების რიგ საქმეეზე, რაც მიზნად ისახავს ხელისუფლების კრიტიკოსებისა და ოპონტენტების დათრგუნვას[153]. Human Rights Watch-ის ევროპისა და ცენტრალური აზიის განყოფილების ასოცირებულმა დირექტორმა, გიორგი გოგიამ ნიკა გვარამიას სასამართლო პროცესი მედიის თავისუფლებასა და სამართლის უზენაესობაზე უდიდეს დარტყმად შეაფასა[154].

აშშ-ის საელჩო გამოეხმარა ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებებს და აღნიშნა, რომ მიღებული ცვლილებებიუზრდის მთავრობას შესაძლებლობას, გააკონტროლოს თავისი მოქალაქეები და *„ეს კანონი საქართველოს აშორებს ევროპულ ინტეგრაციას, ნაცვლად მასთან დაახლოებისა“*[155].

[153] Amnesty International, Georgia: Sentencing of pro-opposition media owner Nika Gvaramia a political motivated silencing of dissenting voice (17.05.2022)

[154] Associate director, Europe and Central Asia Division, Human Rights Watch, Giorgi Gogia on Twitter (16.05.2022)

[155] იხ. ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს განცხადება (07.09.2022)